

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 31 მარტის სხდომაზე
განხილულ საკითხთა ნუსხა

1. N81 ქობულეთის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 02 მარტის N01/10 მომართვა-ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ;

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N428 განკარგულებით დამტკიცებული „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობაში“ ცვლილების შეტანის შესახებ;

3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N431 განკარგულებით დამტკიცებული „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობაში“ ცვლილების შეტანის შესახებ;

4. ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-ქრისტიან კონსერვატიული“-ს რეგისტრაციაში გატარების თაობაზე უარის თქმის შესახებ;

5. ა(ა)იპ „ქობულეთის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრი“-ს 2021 წლის 01 მარტის N01-15/11 მომართვა -2020 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ;

6. „ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ“-ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 26 თებერვლის N01-14/1624 მომართვა;

7. ა(ა)იპ „ქობულეთის მუზეუმი“-ს 2021 წლის 8 თებერვლის N01-18/7 მომართვა -2020 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ;

8. გურამ თამაზაშვილის სახელობის ა(ა)იპ „ქობულეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „მხედრული“-ს 2021 წლის 2 მარტის N01-06/11 მომართვა -2020 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ;

9. ა(ა)იპ „ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლი“-ს 2021 წლის 5 მარტის N01-21/9 მომართვა -2020 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ;

10. ა(ა)იპ „ქობულეთის სახელოვნებო სკოლა“-ს 2021 წლის 9 მარტის N5 მომართვა -2020 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ;

11. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული სასკოლასაკის უსინათლო ან/და მხედველობის სხვადასხვა პრობლემის მქონე მოზარდების იდენტიფიცირების, მათი რაოდენობის დადგენისა და საჭიროებების შესწავლისა და საკითხზე პოლიტიკის დოკუმენტის შექმნის მიზნით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;

12. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 09 მარტის N01-31/1939 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2(ორი)ერთეული ნაგავმზიდის (1-FORD CARGO 1826, გამოშვების წელი 2012, სარეგისტრაციო ნომერი BBQ983, 2- FORD CARGO 1824, გამოშვების წელი 2008, სარეგისტრაციო ნომერი ALI231) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის შესახებ;

13. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 18 მარტის N01-18/2441 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარისფორმით, სარგებლობის უფლებით 2 (ორი) წლის ვადით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში მდებარე ყოფილი საყოფაცხოვრებო მომსახურების შენობის პირველ სართულზე არსებულ 25,0 კვ.მ არასაცხოვრებელ ფართზე (ს/კ

N20.33.01.084) ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ (ფ/პ „ხ.ვერულიძე“);

14. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2021წლის 18მარტის N01-18/2461 მომართვა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1(ერთი) წლის ვადით ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ქობულეთში, დ.აღმაშენებლის გამზირი N112-ის მიმდებარედ 5.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ N20.42.06.362) ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ(ფ/პ „დათუნა დედოფალიძე“);

15. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2021წლის 19 მარტის N01-14/2516 მომართვა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 2 (ორი) წლის ვადით ქ.ქობულეთში, დ.აღმაშენებლის გამზირი N2-ის (ს/კ N20.42.06.405), დ.აღმაშენებლის გამზირი N116-ის (ს/კ N20.42.06.470), რუსთაველის ქუჩა N116-ის (ს/კ N20.42.05.182), რუსთაველის ქუჩა N117-ის (ს/კ N20.42.06.4392), მ. აბაშიძის ქუჩა N4-ის (ს/კ 20.42.08.242) მიმდებარედ არსებულ ტერიტორიებზე თითო კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები (სულ ჯამში 5,0) შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯია“-ზე გადაცემა სწრაფი გადახდის ტერმინალების განთავსების მიზნით ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ;

16. ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-ქრისტიან კონსერვატიული“-ს დაშლის თაობაზე ინფორმაციის მოსმენის შესახებ;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმიN3

ქობულეთი
წელი

31 მარტი 2021

სხდომადაიწყო 12-00 საათზე

დამთავრდა: 15-00 საათზე

სხდომას უძღვებოდა: ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ: ნათია თხილაიშვილი, ლია შაქარიშვილი, იოსებ ჟღენტი, გიორგი გოგიტიძე, სულხან გორჯელაძე, მამია ჟორდანია, ნარგიზ რომანაძე, ნაილე ლაზიშვილი, ლელა ვერულიძე, მერაბ ცინცაბაძე, ჯანსუღ ჯინჭარაძე, გელა გოგიტიძე, ავთანდილ გოგიბერიძე, მამუკა შამილიშვილი, მანუჩარ ნიჭარაძე, ავთანდილ ზოიძე, გენადი თამაზაშვილი, რომან მოწყობილი, ქეთინო ქათამაძე, სოსო ჯაფარიძე, გურამ აბაშიძე, ვაჟა შავიშვილი, თემურ მოწყობილი, გია მჭავანაძე, მალხაზ დიასამიძე, სოლომონ ბაჯელიძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: ვიტალი ქარცივაძე, არჩილ დუმბაძე, პაატა ცინარიძე, დავით წულუკიძე, ავთანდილ ანანიძე, ედნარ თურმანიძე, თედო ტაკიძე;

სხდომას ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერი - მირიან ქათამაძე;

მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - დავით ვერულიძე;

მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლები: ზურაბ ამალაშვილი, მინდია მეგრელიძე და სხვა.

აჭარის - TV;

TV -25;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს I სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) - მამუკა ქათამაძე;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის II სტრუქტურული ერთეულის უფროსი საორგანიზაციო და საქმისწარმოების საკითხებში - დავით ჯინჭარაძე;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 31 მარტის სხდომის ოქმის შედგენა და ევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის II სტრუქტურული ერთეულის უფროსს სპეციალისტს საქმისწარმოების საკითხებში მანონი ვერულიძეს.

საკრებულოს თავმჯდომარემ მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მან ყურადღება გაამახვილა პანდემიის კუთხით, განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ყველა სამედიცინო პერსონალს რომლებიც უხილავ მტერს დიდი ხანია ებრძვიან, ასევე მოუწოდა საკრებულოს წევრებს რეგულაციების დაცვისკენ და იმედი გამოთქვა, რომ საბოლოოდ ვაქცინით დაიძლევა ვირუსით გამოწვეული პრობლემები.

თავმჯდომარემ გააცნო წარმოდგენილი დღის წესრიგი დეპუტატებს და დასვა შეკითხვა აქვთ თუ არა შენიშვნები ან წინადადებები წარმოდგენილ დღის წესრიგთან დაკავშირებით. შენიშვნები და წინადადებები დღის წესრიგთან დაკავშირებით არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ დავით მჭედლიშვილმა კეჩისყრაზე დააყენა მთლიანი დღის წესრიგი:

დღის წესრიგი:

1. N81 ქობულეთის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 02 მარტის N01/10 მომართვა-ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ;

(მომხსენებელი: მ.ჟორდანია)

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N428 განკარგულებით დამტკიცებული „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობაში“ ცვლილების შეტანის შესახებ;

(მომხსენებელი: მამია ჟორდანია)

3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N431 განკარგულებით დამტკიცებული „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობაში“ ცვლილების შეტანის შესახებ;

(მომხსენებელი: ავთანდილ ანანიძე)

(თანამომხსენებელი: მამია ჟორდანია)

4. ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-ქრისტიან კონსერვატიული“-ს რეგისტრაციაში გატარების თაობაზე უარის თქმის შესახებ;

(მომხსენებელი: მამია ჟორდანია)

5. ა(ა)იპ „ქობულეთის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრი“-ს 2021 წლის 01 მარტის N01-15/11 მომართვა -2020 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ;

(მომხსენებელი: ნაილე ლაზიშვილი)

6. „ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ“-ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 26 თებერვლის N01-14/1624 მომართვა;

(მომხსენებელი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადილე ლევან ზოიძე)

7. ა(ა)იპ „ქობულეთის მუზეუმი“-ს 2021 წლის 8 თებერვლის N01-18/7 მომართვა -2020 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ;

(მომხსენებელი: რეზო ტაკიძე)

8. გურამ თამაზაშვილის სახელობის ა(ა)იპ „ქობულეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „მხედრული“-ს 2021 წლის 2 მარტის N01-06/11 მომართვა -2020 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ;

(მომხსენებელი: ბადრი ცეცხლაძე)

9. ა(ა)იპ „ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლი“-ს 2021 წლის 5 მარტის N01-21/9 მომართვა -2020 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ;

(მომხსენებელი:კობა კაკალაძე)

10. ა(ა)იპ „ქობულეთის სახელოვნებო სკოლა“-ს 2021 წლის 9 მარტის N5 მომართვა -2020 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ;

(მომხსენებელი:ციალა კაკალაძე)

11. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული სასკოლო საკის უსინათლო ან/და მხედველობის სხვადასხვა პრობლემის მქონე მოზარდების იდენტიფიცირების, მათი რაოდენობის დადგენისა და საჭიროებების შესწავლისა და საკითხზე პოლიტიკის დოკუმენტის შექმნის მიზნით, დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;

(მომხსენებელი: ლია შაქარიშვილი)

12. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 09 მარტის N01-31/1939 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2(ორი)ერთეული ნაგავმზიდის (1-FORD CARGO 1826, გამოშვების წელი 2012, სარეგისტრაციო ნომერი BBQ983, 2- FORD CARGO 1824, გამოშვების წელი 2008, სარეგისტრაციო ნომერი ALI231) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის შესახებ;

(მომხსენებელი:ავთანდილ ანანიძე)

(თანამომხსენებელი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, ქონების მართვის, ტურიზმისა და საინვესტიციო განვითარების სამსახურის უფროსი ზურაბ ამალღოშელი)

13. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 18 მარტის N01-18/2441 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით,იჯარისფორმით, სარგებლობის უფლებით 2 (ორი) წლის ვადით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში მდებარე ყოფილი საყოფაცხოვრებო მომსახურების შენობის პირველ სართულზე არსებულ 25,0 კვ.მ არასაცხოვრებელ ფართზე (ს/კ N20.33.01.084) ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ (ფ/პ „ხ.ვერულიძე“);

(მომხსენებელი:ავთანდილ ანანიძე)

(თანამომხსენებელი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, ქონების მართვის, ტურიზმისა და საინვესტიციო განვითარების სამსახურის უფროსი ზურაბ ამალღოშელი)

14. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2021წლის 18მარტის N01-18/2461 მომართვა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით,იჯარისფორმით, სარგებლობის უფლებით 1(ერთი) წლის ვადით ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ქობულეთში, დ.ადამაშენებლის გამზირი N112-ის მიმდებარედ 5.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ N20.42.06.362) ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ(ფ/პ „დათუნა დედოფალიძე“);

(მომხსენებელი:ავთანდილ ანანიძე)

(თანამომხსენებელი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, ქონების მართვის, ტურიზმისა და საინვესტიციო განვითარების სამსახურის უფროსი ზურაბ ამალღოშელი)

15. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2021წლის 19 მარტის N01-14/2516 მომართვა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირიგანკარგვისწესით, იჯარისფორმით, სარგებლობისუფლებით2 (ორი) წლისვადით ქ.ქობულეთში, დ.აღმაშენებლის გამზირი N2-ის (ს/კ N20.42.06.405), დ.აღმაშენებლის გამზირი N116-ის (ს/კ N20.42.06.470), რუსთაველის ქუჩა N116-ის (ს/კ N20.42.05.182), რუსთაველის ქუჩა N117-ის (ს/კ N20.42.06.4392), მ. აბაშიძის ქუჩა N4-ის (ს/კ 20.42.08.242) მიმდებარედ არსებულ ტერიტორიებზე თითო კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები (სულ ჯამში 5,0) შპს „დაირექტდებიტჯორჯია“-ზე გადაცემა სწრაფი გადახდის ტერმინალების განთავსების მიზნით ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ;

(მომხსენებელი:ავთანდილ ანანიძე)

(თანამომხსენებელი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, ქონების მართვის, ტურიზმისა და საინვენსტიციო განვითარების სამსახურის უფროსი ზურაბ ამაღლობელი)

16. ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-ქრისტიან კონსერვატიული“-ს დაშლის თაობაზე ინფორმაციის მოსმენის შესახებ;

(მომხსენებელი:დავით მჭედლიშვილი)

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 27

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 27 წევრი.

1. N81 ქობულეთის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 02 მარტის N01/10 მომართვა-ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ - მოხსენება გააკეთა მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მამია ჟორდანიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ კომისიას შესწავლისა და შესაბამისი დასკვნის წარმოდგენის მიზნით დაეწერა N81 ქობულეთის საოლქო საარჩევნო კომისიის მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ. როგორც ცნობილია ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარის ბ.თედორაძის ადგილმონაცვლედ საოლქო საარჩევნო კომისიამ წარმოგვიდგინა სოლომონ ბაჯელიძე. კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და მიზანშეწონილად მიაჩნია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად: ცნობილ იქნას ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სოლომონ ბაჯელიძის უფლებამოსილება.

საკრებულოს თავმჯდომარე დ.მჭედლიშვილმა მიულოცა სოლომონ ბაჯელიძეს უფლებამოსილების ცნობა. უსურვა წარმატებები, როგორც პოლიტიკურ, ასევე მუნიციპალიტეტისათვის სასარგებლო საქმიანობაში.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ საკითხი.

კენჭისყრისშედეგები:

მომხრე - 27

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 27 წევრი.

მიღებულია განკარგულება N18

(განკარგულება თან ერთვის)

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N428 განკარგულებით დამტკიცებული „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობაში“ ცვლილების შეტანის შესახებ - მოხსენება გააკეთა მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მამია ჟორდანიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ეს არის ცვლილება საკრებულოს იურიდიულ, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობაში, სადაც ბონდო თედორაძე იქნა ამოღებული საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის გამო.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 22

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 5 (მ.ცინცაბაძე, ლ.ვერულიძე, ს.ბაჯელიძე, ჯ.ჯინჭარაძე,

მ.დიასამიძე)

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 22 წევრი.

მიღებულია განკარგულება N19

(განკარგულება თან ერთვის)

3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N431 განკარგულებით დამტკიცებული „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობაში“ ცვლილების შეტანის შესახებ - მოხსენება გააკეთა მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მამია ჟორდანიამ, რომელმაც განმარტა, რომ მამული სურმანიძე იქნა ამოღებული ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობაში, საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის გამო.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა - „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობაში“ ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 22

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 4 (მ.ცინცაბაძე; ლ.ვერულიძე; ს.ბაჯელიძე; ჯ.ჯინჭარაძე;

მ.დიასამიძე)

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 22 წევრი.

მიღებულია განკარგულება N20

(განკარგულება თან ერთვის)

4. ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-ქრისტიან კონსერვატიული“-ს რეგისტრაციაში გატარების თაობაზე უარის თქმის შესახებ - მოხსენება გააკეთა მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მამია ჟორდანიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ საკრებულოს განცხადებით მომართა საკრებულოს წევრებმა მალხაზ დიასამიძემ, პაატა ცინარიძემ და მერაბ ცინცაბაძემ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-ქრისტიან კონსერვატიული“-ს რეგისტრაციაში გატარების შესახებ. აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა კომისიის სხდომაზე. კომისიის გადაწყვეტილებით ვინაიდან ზემოაღნიშნული საკრებულოს წევრები არ არიან ერთი პარტიის მიერ წარდგენილები ან/და ერთ ბლოკში შემავალი პარტიები კერძოდ: პაატა ცინარიძის წარმდგენი პარტია ევროპული საქართველოა შესაბამისად საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 30-ე მუხლის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებენ. აღნიშნულიდან გამომდინარე კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია უარი ეთქვათ ფრაქციის რეგისტრაციაზე გატარებაზე.

მერაბ ცინცაბაძე დაინტერესდა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 30-ე მუხლი რას გულისხმობს ასეთი შემთხვევების დროს? - აღნიშნულ მუხლში არ არის მითითებული, რომ უფლება არა აქვს სხვა პარტიაში შესვლის პაატა ცინარიძეს!?

მამია ჟორდანია - ფრაქციის შექმნის უფლება აქვს ერთი პოლიტიკური პარტიიდან საარჩევნო ბლოკის წარდგენით არჩეულ საკრებულოს წევრს, ასე რომ ეს ეწინააღმდეგება კანონს, რადგან თქვენ და მალხაზ დიასამიძე ხართ პარტია „ერთიანი ნაციონალური“ - მოძრაობიდან, ხოლო პაატა ცინარიძე „ევროპული საქართველოდან“.

მ.ცინცაბაძემ აღნიშნა, რომ პარტია „ქართულ ოცნება“-ს აქვს მიკერძოებული სამართალი.

ლელა ვერულიძე - როგორც ფრაქციის თავმჯდომარე ბონდო თედორაძე და მამული სურმანიძე პოლიტიკური მიზნებით იქნა განთავისუფლებული თავის დროზე, იგივე სამართლით არის მიღებული აღნიშნული გადაწყვეტილება.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ სხვა შენიშვნები არ ყოფილა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა - ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-ქრისტიან კონსერვატიული“-ს რეგისტრაციაში გატარების თაობაზე უარის თქმის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 22

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 4 (მ.ცინცაბაძე; ლ.ვერულიძე; ს.ბაჯელიძე; ჯ.ჯინჭარაძე;

მ.დიასამიძე)

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 22 წევრი.

5. ა(ა)იპ „ქობულეთის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრი“-ს 2021 წლის 01 მარტის N01-15/11 მომართვა -2020 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ - მოხსენება გააკეთა ა(ა)იპ „ქობულეთის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრი“-ს ხელმძღვანელმა ნაილე ლაზიშვილმა მომხსენებლის ინფორმაციით, 2017 წლის სექტემბრიდან ფუნქციონირებს ა(ა)იპ „ქობულეთის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრი“, რომელიც უზრუნველყოფს „პირველადი ჯანდაცვის ცენტრების ფუნქციონირების ხელშეწყობის“, „სოფლის მოსახლეობის ექიმადელი სამედიცინო დახმარების“ და „სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ხელშეწყობის“ პროგრამების შესრულებას, სოფლად მოსახლეობისათვის უკეთესი სერვისის უზრუნველყოფის მიზნით.

ცენტრის ძირითადი ფუნქციაა:

ა) ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი ამბულატორიების ექიმებისა და სამედიცინო პუნქტების მედდების მუშაობის მონიტორინგი, პირველადი დახმარების მედიკამენტებით უზრუნველყოფა .

ბ) საავტომობილო ტრანსპორტით მომსახურება. გამოყოფილი 13 ნივის GPS კონტროლი, საწვავის ჩასხმისა და ხარჯვის კონტროლი.

გ) ყოველთვიური ანგარიშების მიღება.

დ) მოსახლეობასთან შეხვედრები, არსებული პრობლემების გამოვლენა, შესწავლა და მიწოდება ზემდგომი ორგანოებისათვის.

ე) პირველადი ჯანდაცვის ექიმების ყოველთვიური ანგარიშების გაგზავნა ბათუმში ჯანდაცვის სამინისტროში.

ვ) ექიმებისა და მედდებისათვის პირველადი დახმარების მედიკამენტების შესყიდვა.

ზ) ქვეპროგრამის ფარგლებში მოსახლეობისათვის ვაუჩერების გაცემა თვეში 50 ლარის ოდენობით.

დამტკიცებულ იქნა ცენტრის ბიუჯეტი და საშტატო განრიგი. ა(ა)იპ -ს ადმინისტრაცია შედგება 4 საშტატო ერთეულისაგან, შრომითი ხელშეკრულება გაფორმებულია 46 მედღასთან და 13 მძღოლთან.

ა(ა)იპ „ქობულეთის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრი“-ს 2020 წლის ბიუჯეტის გეგმა 01.01.2021-ისათვის შეადგენდა **391400** (სამასოთხმოდათერთმეტი ათასი) **ლარს**.

შრომის ანაზღაურება წლის დასაწყისისათვის შეადგენდა 25800 (ოცდახუთი ათას რვაასი) ლარს, რომლიდანაც გაიხარჯა **25800** (ოცდახუთი ათას რვაასი) **ლარი** .

საქონელი და მომსახურების მუხლში ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა შეადგენდა **279920** (ორასამოცდაცხრამეტი ათას ცხრაასოცი) **ლარს**. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება შეადგენს **184800** (ას ოთხმოცდაოთხი ათას რვაასი) **ლარს**. გაიხარჯა **184366** (ასოთხმოცი ოთხი ათას სამსამოცდაექვსი) **ლარი** .

ოფისის ხარჯი სამუშაო წლის დასაწყისისთვის შეადგენდა **16389** (თექვსმეტი ათას სამას ოთხმოცდაცხრა)**ლარს**. ოფისის მუხლიდან: საკანცელარიო მასალების ხარჯი-**500.0**(ხუთასი)**ლარი**, გაიხარჯა **499.0** (ოთხასოთხმოცდაცხრამეტი) **ლარი**.

კომუნალური ხარჯი-**8000** (რვა ათასი) **ლარი**: ელექტროენერგიის ხარჯის მუხლიდან გაიხარჯა **4711.0**(ოთხი ათას შვიდას სამოცდათერთმეტი)**ლარი**, კომპიუტერული პროგრამების შეძენისა და განახლების ხარჯი - **3744**(სამი ათას შვიდა ორმოცდაოთხი) **ლარი**: გაიხარჯა მთლიანად. საოფისე ინვენტარის შეძენის და დამონტაჟების ხარჯი- **2520.0** (ორი ათას ხუთას ოცი) **ლარი**: შეძენილ იქნა სახის დამცავი ფარები და ერთჯერადი სამედიცინო ქუდები -**2520.0** (ორი ათას ხუთასოცი) **ლარი**. სულ გაიხარჯა **11474.0** (თერთმეტი ათას ოთხას სამოცდათოთხმეტი) **ლარი**.

ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების მუხლში გეგმით გათვალისწინებული იყო **48000** (ორმოცდარვა ათასი) **ლარი**: საწვავ-საპოხი მასალების შეძენის ხარჯმა შეადგენდა **39000** (ოცდაცხრამეტი ათასი) **ლარი**, რომლიდანაც გაიხარჯა **30264.0** (ოცდაათი ათას ორასსამოცდაოთხი) **ლარი**. მიმდინარე რემონტის ხარჯში **9000** (ცხრა ათასი) **ლარი** და გაიხარჯა **9000.0** (ცხრა ათასი) **ლარი**.

სამედიცინო ხარჯი წლის დასაწყისისათვის შეადგენდა **30381.0** (ოცდაათი ათას სამას ოთხმოცდაერთი) **ლარს**: მედიკამენტების შეძენის ხარჯმა შეადგინა **13420.0** (ცამეტი ათას ოთხას ოცი) **ლარი**, პირბადეები- **4582.0** (ოთხი ათას ხუთას ოთხმოცდაორი) **ლარი**.

სხვა დანარჩენი საქონელი და მოსახურება -**350.0** (სამასორმოცდაათი) **ლარი**. სატენდერო მომსახურება ხარჯმა შეადგინა **100**(ასი) **ლარი**.

არაფინანსური აქტივის მუხლში - **880.0** (რვაას ოთხმოცი) **ლარიდან** გაიხარჯა **55.0** (ორმოცდათხუთმეტი) **ლარი**.

საკასო შესრულება: **329 932**(სამას ოცდაცხრა ათას ცხრაას ოცდათორმეტი) **ლარი**.

2020 წლიდან მუნიციპალიტეტის ხელშეწყობით ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მოსახლეობის მოწყვლადი ფენის უზრუნველყოფა ვაუჩერებით თვეში 50 ლარის ოდენობით. ქვეპროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა **84800.0** (ოთხმოცდაოთხიათას რვაასი) **ლარს**.

მოწყვლადი კატეგორიის ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერის ხარჯმა შეადგინა-50 872(ორმოცდაათი ათას რვაასსამოცდათორმეტი) ლარი.

წლის განმავლობაში 0-დან 100 000-ს ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე მძიმე და ღრმა შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირთა უზრუნველყოფისათვის მოვლის საშუალებებით დაკმაყოფილდა 96 ადამიანი, გაიცა სულ ვაუჩერი 222 .

სოციალურად დაუცველ ოჯახებში - 0-დან 100 000-ს ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე - შვილის დაბადებისას, ბავშვის უზრუნველყოფისათვის ერთი წლის ასაკამდე მოვლის საშუალებებით ან/და ბავშვთა კვებით დაკმაყოფილდა 73 ადამიანი, გაიცა სულ 122 ვაუჩერი.

მგრძნობელობის დაქვეითების მქონე მძიმე და ღრმა შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირთა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფისათვის (კერძოდ, კომპანია „ROHO“-ს ფირმის ნაწილებისაგან დამცავი ბალიში) დაკმაყოფილდა 10 ადამიანი.

ა(ა)იპ-ის დაქვემდებარებაში არსებული თემის საექთნო პუნქტების მედდები ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის დროს ახორციელებდნენ თერმოსკრინინგს. აპრილი-მაისის თვეში თსპ-ს მედდებმა თერმოსკრინინგი ჩაუტარეს ქალაქ ქობულეთში 20057 ადამიანს, ხოლო ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში 12406 ადამიანს .

პირველადი ჯანდაცვის ცენტრების ნივები კარანტინის დროს ინტენსიურად იყვნენ ჩართული მოსახლეობის დასახმარებლად ნებისმიერი სახის საჭიროების შემთხვევაში. ასევე უზრუნველყოფდნენ მუდმივად ექიმების ტრანსპორტირების საკითხს. დაკმაყოფილებულ იქნა დიალეზზე მყოფი პაციენტების მოთხოვნები ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით.

2019 წლის 05 აგვისტოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიასა და ა(ა)იპ „ქობულეთის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრ“-ს შორის გაფორმდა უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება N01-45/266. უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით, მოვლა-პატრონობაში, სამედიცინო ამბულატორიებისა და ექიმამდელი მომსახურების, სამედიცინო პუნქტების ფუნქციონირების მიზნით ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ასებული უძრავი ქონებები (21 ერთეული შენობა-ნაგებობა მიწის ნაკვეთებით, სადაც განთავსებულია პირველადი ჯანდაცვის ცენტრები და თემის საექთნო პუნქტები) გადმოეცა ა(ა)იპ „ქობულეთის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრ“-ს . 2020 -ში ა(ა)იპ-ს გადმოეცა კიდევ ერთი სამედიცინო პუნქტი უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით მოვლა-პატრონობაში.

2019 წლის 5 თებერვალს N01-18/901 შემოსული წერილის საფუძველზე ქობულეთში მცხოვრები განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვთა მშობლების კოლექტიურ განცხადებასთან დაკავშირებით ა(ა)იპ „ქობულეთის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრის“ დაქვემდებარებაში არსებულ მაღალი გამავლობის ავტომანქანების მძღოლებს დაევალია ტრანსპორტით მომსახურება გაუწიონ ლოგოპედებს „ბავშვთა ადრეული განვითარების“ პროგრამის განხორციელებაში, რაც გაგრძელდა 2020 წლის განმავლობაშიც .

2020 წლის 1 იანვრიდან 31 იანვრამდე ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში განხორციელდა 2606-ზე მეტი გეგმიური და არაგეგმიური ვიზიტი სოფლის მოსახლეობასთან (პაციენტებთან). მოგაწვდით მონაცემებს სოფლების მიხედვით:

1. სოფელ ლელვას ამბულატორიის ექიმებმა განახორციელეს 121 ვიზიტი პაციენტებთან.
2. სოფელ ქობულეთის ამბულატორიის ექიმებმა განახორციელეს 276 ვიზიტი პაციენტებთან.
3. სოფელ საჩინოს ექიმმა განახორციელა 210 ვიზიტი პაციენტებთან.
4. სოფელ კვირიკის ექიმებმა განახორციელეს 156 ვიზიტი პაციენტებთან.

5. დაბა ოჩხამურის ექიმებმა განახორციელეს 184 ვიზიტი პაციენტებთან. დაბა ოჩხამურის ექიმები ყოველ ოთხშაბათს სოფ.ჯიხანჯურში და პარასკევს სოფ.თიკერში ახორციელებდნენ ვიზიტებს პაციენტებთან.
6. სოფელ ხუცუბნის ამბულატორიის ექიმებმა განახორციელეს 147 ვიზიტი პაციენტებთან.
7. სოფელ ბობოყვათის ამბულატორიის ექიმებმა განახორციელეს 146 ვიზიტი პაციენტებთან.
8. დაბა ჩაქვის ამბულატორიის ექიმებმა განახორციელეს 140 ვიზიტი პაციენტებთან.
9. სოფელ ხალას ამბულატორიის ექიმებმა განახორციელეს 178 ვიზიტი პაციენტებთან. სოფელ ხალას ექიმები ყოველ სამშაბათს ახორციელებდნენ გასვლას გორგამეებში და პაციენტების მიღებას. ასევე თვეში ერთხელ აქვთ გასვლა ჩაქვისთავში.
10. სოფელ ციხისძირის ამბულატორიის ექიმებმა განახორციელეს 171 ვიზიტი პაციენტებთან.
11. სოფელ ქაქუთის ამბულატორიის ექიმმა განახორციელა 570 ვიზიტი პაციენტებთან.
12. სოფელ ჩაისუბნის ამბულატორიის ექიმებმა განახორციელეს 138 ვიზიტი პაციენტებთან.
13. სოფელ მუხაესტატეს ამბულატორიის ექიმებმა განახორციელეს 169 ვიზიტი პაციენტებთან.

გარდა ამისა ხდებოდა ყოველკვირეული გასვლები ცალკეულ უბნებში, სადაც ექიმები ატარებდნენ მრავლობით ვიზიტებს პაციენტებთან.

თვეში ერთხელ ამბულატორიის ექიმები აზარებენ ანგარიშებს ბათუმში და ჩამოაქვთ ასაცრელი პრეპარატები, რასაც ემსახურებიან ცენტრის დაქვემდებარებაში არსებული ავტომობილები.

სამედიცინო პუნქტების მედდებს და პირველადი ჯანდაცვის ცენტრების ექიმებს კვარტალში ერთხელ ეძლევათ პირველადი დახმარების მედიკამენტები. პირველადი ჯანდაცვის ცენტრებისა და თემის საექნო პუნქტების ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით „ექიმის ჩანთის“ და „ექთნის ჩანთის“ შესავსებად ა(ა)იპ „ქობულეთის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრი“ სამედიცინო დანიშნულების საგნებისა და მედიკამენტების შესყიდვას ახორციელებს ელექტრონული ტენდერით.

თემის საექნო პუნქტებში მომუშავე მედდები აწარმოებენ პაციენტების მიღების ჟურნალს, ორსულებისა და დიაბეტით დაავადებული პაციენტების რეგისტრაციის ჟურნალს, ასევე აწარმოებენ მედიკამენტების აღრიცხვას.

თავიანთი სამუშაო საათების ფარგლებში მედდები უზრუნველყოფენ პაციენტებს მედიკამენტებით. აღრიცხავენ გაცემულ მედიკამენტებს და შემდგომ მათი ხარჯვის შესახებ ყოველთვიურად წარადგენენ ანგარიშებს.

მედდების მიერ პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ იქნა სოფლის მოსახლეობასთან ვიზიტები:

2020 წელში მედდებმა მომსახურება გაუწიეს: ამბულატორიაში-35180 პაციენტს, ბინაზე-14361 პაციენტს. სულ -49541 პაციენტს.

მერაბ ცინცაბაძემ დაინტერესდა, მედიკამენტების ფასები საკმაოდ გაზრდილია და წლის დასაწყისში გათვალისწინებული თანხები არის, თუ არა საკმარისი შესყიდვის განხორციელების დროს?

მომხსენებლის ნაილე ლაზიშვილის განმარტებით წლის დასაწყისში გაკეთებული მედიკამენტების შესყიდვა რა ფასებზეც განხორციელდა, ის ღირებულება რჩება მედიკამენტებს მთელი წლის განმავლობაში. ხოლო ახალი წლიდან მოხდა თანხის დამატება, რადგან გაიზარდა სამედიცინო ხარჯი.

მერაბ ცინცაბაძის თქმით, პანდემიის ფონზე, მოქალაქეებისთვის გადაცემული 200 ლარიანი ვაუჩერი არასაკმარისია.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა მადლობა გადაუხადა ა(ა)იპ „ქობულეთის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრი“-ს გაწეული საქმიანობისთვის, მისი თქმით განსაკუთრებული სამუშაოები გაწია მოქალაქეების მიმართ შესაბამისმა სამსახურმა.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ სხვა შენიშვნები არ ყოფილა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ „ქობულეთის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრი“-ს 2020 წლის ანგარიშის ცნობად მიღების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 22

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 5 (მ.ცინცაბაძე; ლ.ვერულიძე; ს.ბაჯელიძე; ჯ.ჯინჭარაძე; მ.დიასამიძე)

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 22 წევრი.

საკრებულოს თავმჯდომარე დ.მჭედლიშვილმა აქვე აღნიშნა, რომ რადგან დღის წესრიგით გათვალისწინებულ მომდევნო საკითხის მომხსენებელი არის ლევან ზოიძე და იმყოფება თვითიზოლიაციაში, ამიტომ 2020 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მოხსენებას გააკეთებს მუნიციპალიტეტის მერი მირიან ქათამაძე.

6. „ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ“-ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერმა მირიან ქათამაძემ მომხსენებელის ინფორმაციით ბიუჯეტის შემოსავლების მიმოხილვა ძირითადი კატეგორიების მიხედვით წარმოადგინა შემდეგნაირად:

შემოსულობების დასახელება	2020 წლის გეგმა	2020 წლის ფაქტი	გადახრა +/- გეგმასთან
<i>გადასახადები</i>	13 230 307	13 023 022	(-207 285)
<i>ა) ქონების გადასახადი</i>	3 303 007	2 661 668	(-641 339)
<i>ბ) დამატებული ღირებულების გადასახადი</i>	9 927 300	10 361 354	(+434 054)

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების წლიური გეგმა გადასახადების ნაწილში შეადგენდა 13 230307 ლარს, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 13 023 022 ლარი ანუ 207285 ლარით ნაკლები; ცალკეული სახეების მიხედვით შემოსავლები ასე გადანაწილდა: შემოსავალის წლიური გეგმა ქონების გადასახადის სახეში სულ შეადგენდა 3 303007 ლარს, ფაქტიურად შემოსავალმა შეადგინა 2 661 668 ლარი, შემოსავალს დააკლდა 641339 ლარი. დამატებული ღირებულების გადასახადის სახეში წლიური გეგმა განისაზღვრა 9 927 300 ლარით, სულ წლიური ფაქტიური შემოსავალი შეადგენს 10 361 354 ლარს, წლიური გეგმის შესრულებაზე გადამეტება შეადგენს 434054 ლარს. სულ გადასახადების ნაწილში წლიური გეგმის შესრულებას დააკლდა 207285 ლარი.

სხვა შემოსავლების ნაწილში ბიუჯეტის წლიური გეგმა განისაზღვრა 2 339 500 ლარი, ფაქტიური შემოსავალი შეადგენს 3 020 796 ლარს, აქედან 191626 ლარი წინა წელს გამოუყენებელი თანხების უკან დაბრუნებაა(რომელიც მუნიციპალიტეტის მიერ დაბრუნდა შესაბამის ბიუჯეტში და სახელმწიფო ხაზინის მიერ დამინუსდა გრანტების ნაწილში), ამის გათვალისწინებით ფაქტიური შემოსავალი განისაზღვრა 2 829 170 ლარით. ანუ წლიური გეგმის მაჩვენებელზე 489670 ლარით მეტი. სხვა შემოსავლებს ცალკეული სახეების მიხედვით, თუ განვიხილავთ შესრულების მაჩვენებლები სახეებში შემდეგნაირად გადანაწილდა:

შემოსულობების დასახელება	2020 წლის გეგმა	2020 წლის ფაქტი	გადახრა +/- გეგმასთან
<u>სხვა შემოსავლები</u>	2 339500	3 020796	681296
<i>I. შემოსავლები საკუთრებიდან</i>	400 860	488 288	87428
<i>პროცენტები</i>	162416	246196	83780
<i>რენტა</i>	238444	242092	3648
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	120000	156919	36919
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი,ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	118444	85174	-33270
<i>II. საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია</i>	654340	694244	39 904
ადმინისტრაციული გადასახდელები და მოსაკრებლები	579200	681 011	101811
სანებართვო მოსაკრებელი	426700	491943	65243
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი		6	6
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	2500	2500	
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	150000	186568	36568
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	75140	13233	-61907
<i>III. სანქციები (ჯარიმები, საურავები)</i>	1 100 000	1 517 965	417 965
<i>IV. შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი</i>	184300	320298	135998

პროცენტები - დარიცხული პროცენტების სახეში დაიგეგმა 162416 ლარი ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 246196 ლარი, მაჩვენებელის შესრულების გადამეტებამ შეადგინა 83780 ლარი.

რენტა - სულ წლიური ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 238444 ლარი, ფაქტიური შემოსვლა შეადგენს 242092 ლარს ანუ გადაჭარბებაა 3648 ლარი. მათ შორის: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის სახეში დაგეგმილი იყო 120000 ლარი, ფაქტიურად ბიუჯეტში შემოვიდა 156919 ლარი, ანუ გადაჭარბებაა 36919 ლარით; შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან სახეში დაიგეგმა 118444 ლარი, ფაქტიურად შემოვიდა 85174 ლარი, ანუ 33270 ლარით ნაკლები.

ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელების წლიური გეგმა განისაზღვრა 579200 ლარით, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 681011 ლარი შემოსავლებს დააკლდა 101811 ლარი. მათ შორის სანებართვო მოსაკრებლის სახეში დაიგეგმა 426700 ლარი, ფაქტიურად შემოსულია 491943 ლარი, ანუ 65243 ლარით მეტი, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის სახეში ფაქტიურად ბიუჯეტში შემოსულია 2500 ლარი. მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის სახეში დაგეგმილი იყო 150000 ლარით, ფაქტიურმა შემოსვლამ შეადგინა 186568 ლარი, ანუ 36568 ლარით მეტი. შემოსავალი მომსახურების გაწევიდან სახეში წლის განმავლობაში დაგეგმილი იყო 75140 ლარი, ფაქტიურად შემოვიდა 13233 ლარი, ანუ დაგეგმილ მაჩვენებელზე 61907 ლარით ნაკლები.

ჯარიმები სანქციები და საურავების მოსაკრებლის სახეში წლიური გეგმა განისაზღვრა სულ 1 100000 ლარით, ფაქტიურად სულ შემოსულია 1 517965 ლარი, ანუ 417965 ლარით მეტი.

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების სახეში დაგეგმილი 184300 ლარიდან შემოვიდა სულ 320 298 ლარი, სადაც შედის წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული ფინანსური რესურსიც, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ სულ 191626 ლარი. ამის გათვალისწინებით შემოსავალი შეადგენს 128672 ლარს, ანუ წლიურ დაგეგმილზე 55628 ლარით ნაკლები.

არაფინანსური აქტივების კლებამ შეადგინა 24125 ლარი, მათ შორის შემოსულობა მიწაზე უფლების აღიარებიდან 21875 ლარი.

როგორც წარმოდგენილი ანალიზით ირკვევა, წლის განმავლობაში ფაქტიურად მიღებული შემოსავლების მთლიან მოცულობაში საგადასახადო შემოსავლების ფაქტიური მაჩვენებელი შეადგენს შემოსავლების 81 პროცენტს, სხვა შემოსავლების ფაქტიური მაჩვენებელმა შეადგინა 19 პროცენტი.

გრანტები:

წლის განმავლობაში გრანტების სახით მიღებული ფაქტიური შემოსავალი 17 274 484 ლარი შემდეგნაირად გადანაწილდა:

- I. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი 2 739 794 ლარიდან ფაქტიურად მიღებულია 2705925 ლარი 99 %.
- II. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი 308381 ლარიდან ტრანსფერი ფაქტიურად მოთხოვნის შესაბამისად ჩამორიცხულია 308381 ლარი - 100%;
- III. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერიდან 9132969 ლარიდან ფაქტიურად ჩამორიცხულია 9132955 ლარი --100%.
- IV. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 18 დეკემბრის N2535 განკარგულების საფუძველზე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტში ფაქტიური შემოსულობების გათვალისწინებით ფინანსური დახმარების მიზნით გამოყოფილი და სრულად ჩამორიცხულ იქნა 5285000 ლარი;

გადასახდელები: (თანახმად დანართისა)

2020 წელში დაზუსტებული ბიუჯეტის ფარგლებში დაფინანსებებზე გაწეული მთლიანი ხარჯები 33 584 580 ლარი წლიური დაზუსტებული გადასახდელების 92% -ს შეადგენს.

2021 წლის პირველი იანვრისათვის არსებული ფულადი სახრების ნაშთი შედგენს 3 344 877 ლარს.

ა) გადასახდელები ბიუჯეტის ცალკეული სფეროების მიხედვით

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებას მოხმარდა 5490384 ლარი, საერთო საბიუჯეტო ხარჯის 16,4%. ათვისებამ შეადგინა აღნიშნულ სფეროში საბიუჯეტო წლის განმავლობაში დაგეგმილი თანხების 95%. აღნიშნული სფეროს ხარჯები მოიცავს ვალთან დაკავშირებული ოპერაციების ხარჯებსაც და მათ შორის მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობით განხორციელებულ პროექტებზე სასესხო წარმოქმნილ ვალდებულებების დაფარვის ხარჯებს, რაც ჯამურად აღნიშნული სფეროს ხარჯების 41 პროცენტს შეადგენს.

თავდაცვის სფეროს მოხმარდა 111170 ლარი, მთლიანი საბიუჯეტო ხარჯის 0,33%, წლიური დაგეგმილი თანხების ათვისებამ შეადგინა დაგეგმილი თანხების 90%.

ეკონომიკური საქმიანობის სფეროში სულ გახარჯულია 6301608 ლარი, მთლიანი საბიუჯეტო ხარჯის 18,8 %, საბიუჯეტო თანხების ათვისებამ შეადგინა აღნიშნულ სფეროში წლიური დაგეგმილი თანხების 93 პროცენტი. აღნიშნულ სფეროში ხარჯების მთლიანი ოდენობა შეადგინა საგზაო სფეროს ხარჯებმა მათ შორის საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ინფრასტრუქტურულმა ღონისძიებებმა. კერძოდ განხორციელდა ცალკეული ინფრასტრუქტურული პროექტები, როგორიცაა:

- დასრულდა დაბა ჩაქვში „თაზისის“ მიმდებარედ გზაგამტარის მოწყობა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა - პროექტის ღირებულება დასრულების ეტაპზე ბიუჯეტით განისაზღვრებოდა 182449 ლარით, საკასო ხარჯი განისაზღვრა 182103 ლარი; პროექტის ფარგლებში განხორციელდა არსებული სარკინიგზო ხაზის ქვეშ საავტომობილო გზა გამტარის მოწყობა, მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, დამონტაჟდა გარე განათების სისტემა, კეთილმოეწყო სკვერი და სპორტული მოედანი.
- ქალაქ ქობულეთში კაფე ედემთან (რუსთაველიდან აღმაშენებელზე და აღმაშენებლიდან ზღვაზე) გადასასვლელის კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელების მიზნით დაიხარჯა 539226 ლარი. განხორციელდა ქ.ქობულეთში, რუსთაველის ქუჩიდან აღმაშენებელზე და აღმაშენებლიდან სანაპიროზე გადასასვლელისა და სავალი ნაწილის მოპირკეთება დეკორატიული ფილებით. აგრეთვე გადასასვლელზე მოეწყო მწვანე ზოლი, დამონტაჟდა გარე განათების სისტემა, მოეწყო მინი სპორტული მოედანი, განთავსდა საპარკე დეკორატიული სკამები, სანაგვე ურნები, სავარჯიშო ტრენაჟორები და საბავშვო ატრაქციონები.
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადასასვლელების (კომახიდის ქუჩაზე საფეხმავლო გადასასვლელი, მეგობრობის ქუჩის ზღვაზე გადასასვლელი, რუსთაველის ქ. №160 ზ-დან კომახიდის ქ. №100-მდე გადასასვლელი, რუსთაველის ქუჩა №266-268 შესასვლელი გზა, რუსთაველის ქ. №140 ჟ-დან კომახიდის ქ. №2-ის ჩათვლით) კეთილმოწყობის სამუშაოების განსახორციელებლად დაიხარჯა 109070 ლარი. მოწესრიგდა სანიაღვრე სისტემა, გადასასვლელებზე გზის სავალი ნაწილი მოპირკეთდა დეკორატიული ფილებით, მოეწყო გარე განათების სისტემა.
- ქ. ქობულეთში არსებული ასფალტის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის ბიუჯეტიდან დაიხარჯა 48035 ლარი. პროექტის ფარგლებში განხორციელდა დაზიანებული ასფალტის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები, კერძოდ ორმული შეკეთება;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზებზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების განხორციელების მიზნით სულ ბიუჯეტმა წლის განმავლობაში დახარჯა 2380194 ლარი, ამ მიზნით დაგეგმილი ბიუჯეტის გეგმის 98%. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შიდა სასოფლო გზებზე მოეწყო ბეტონის საფარი.

- განხორციელდა წლის განმავლობაში პროექტი - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში მოსაცდელების მოწყობა (11 ერთეული) ღირებულებით 53581ლარი; აღნიშნულის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაჩერებებზე მოეწყო 11 ერთეული დეკორატიული აგურის მოსაცდელი.
- დაბა ჩაქვის ცენტრის კეთილმოწყობა დაფინანსდა 675363 ლარით. მოწესრიგდა სანიაღვრე სისტემა და ტერიტორია მოპირკეთდა დეკორატიული ფილებით.
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ვიდეოკამარების მოვლა-შენახვის მომსახურების სამუშაოებისა და დამონტაჟების დასრულების მიზნით სულ დაიხარჯა 98246 ლარი;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზებზე სიჩქარის შემზღუდავი ბარიერის მოწყობა განხორციელდა 17800 ლარით. საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასახლებულ პუნქტებში მოეწყო სიჩქარის შემზღუდავი ბარიერები დაახლოებით 250 გრ.მ.
- ქალაქ ქობულეთში, თავისუფლების ქუჩის კეთილმოწყობის სამუშაოებისათვის გამოყოფილი იყო 692569 ლარი, საიდანაც დაიხარჯა 266935 ლარი. აუთვისებული ფულადი ნაშთით დარჩენილი სამუშაოები გარდამავალი ღონისძიების სახით აისახა 2021 წლის ბიუჯეტში და დასრულდება 2121 წლის დასაწყისისათვის.
- მუნიციპალიტეტში გზების სამუშაოები -კერძოდ მდინარის კალაპოტების გასწორხაზოვნების სამუშაოებისათვის გაიხარჯა 25602 ლარი. კერძოდ განხორციელდა მდ.დეხვას კალაპოტის გასწორხაზოვნება და მდ. კინტრიშის კალაპოტის გასწორხაზოვნება.
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ქალაქ ბათუმის მიმართულებით მუნიციპალური ტრანსპორტით (ავტობუსებით) მომსახურება დაფინანსდა სულ 339872 ლარით. ბიუჯეტიდან სუბსიდიის თანხის ჩარიცხვა ხორციელდებოდა ყოველთვიურად სუბსიდირების ხელშეკრულებისა და შ.პ.ს. „ქობულეთის ტრანსრეგულირების“ წერილობითი განაცხადის საფუძველზე, სადაც დასტურდებოდა ინფორმაცია მუნიციპალური ტრანსპორტის სერვისიდან მიღებული საკუთარი შემოსავალის შესახებ და სუბსიდირების საჭიროების თაობაზე თანახმად პროგრამისა.
- ქობულეთის მუნიციპალიტეტში სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების- სამუშაოების განხორციელების მიზნით დაფინანსება შეადგენს 1565 581 ლარს. უხვი ნალექის შედეგად გააქტიურებული მეწყრული პროცესებით მიყენებული ზარალის ლიკვიდაციის მიზნით განხორციელდა მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისათვის საცხოვრებელი ადგილებისათვის ფერდსამაგრი სამუშაოების ჩატარება.

გარემოს დაცვის ღონისძიებებს სულ ფაქტიურად მოხმარდა 2443536ლარი მთლიანი საბიუჯეტო ხარჯის 7,3 პროცენტი, წლიური დაგეგმილი თანხების ათვისება შეადგენს 93 %.

აღნიშნული სფერო მოიცავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის სანიტარული დასუფთავებასთან დაკავშირებულ ხარჯებს(91%), მ/შორის: ა(ა)იპ „ქობულეთის სანდასუფთავების“ ფუნქციონირების ადმინისტრაციულ და საოპერაციო ხარჯებსაც;

წლის განმავლობაში განხორციელდა მაწანწალა ცხოველების მოვლა-პატრონობის მიზნით დაჭერილი ცხოველების, სტერილიზაცია ვაქცინაცია, დაბირკვა. რისთვისაც გაიხარჯა 50000 ლარი; ა(ა)იპ „ქობულეთის სანდასუფთავების“ მიერ წლის განმავლობაში განხორციელდა ქალაქის ცალკეული ტერიტორიის, მწვანე საფარის, ქალაქში არსებული ეზოების დაგვა-დასუფთავება; სანაგვე კონტეინერების გარეცხვა, ქალაქის სანაპირო ზოლის დასუფთავება; მსხვილფეხა რქოსანი

პირუტყვის ქალაქში მოძრაობის აღკვეთა, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა. ამ მიზნით სულ გაიხარჯა 2 176 820 ლარი;

➤ **ნაგავშემკრები კონტეინერის შეძენისათვის** (200 ერთეული) ბიუჯეტით დაიხარჯა 130498 ლარი. ისინი განთავსებულ იქნა მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ტერიტორიებზე.

➤ **ქალაქ ქობულეთში, ჯავახიშვილის ქ. N2-ში საკანალიზაციო სისტემის მოწყობისათვის დაიხარჯა 15951 ლარი.** მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოში მოხდა საკანალიზაციო მაგისტრალური ხაზის, სათვალთვალო ჭების მოწყობა და დაერთება მთავარ მაგისტრალურ ხაზზე.

➤ **ქალაქ ქობულეთში, რუსთაველის ქუჩა №162; აღმაშენებლის გამზირი №94; რუსთაველის ქ. №138 ა; რუსთაველის ქ. №140; რუსთაველის ქ. №158; ვერულიძის ქ. №9; აღმაშენებლის გამზირი №112-ში საკანალიზაციო მაგისტრალური სისტემის მოწყობა/რეაბილიტაციის მიზნით ბიუჯეტით გაიხარჯა 70266 ლარი;**

➤ **საბინაო და კომუნალური სფეროს ღონისძიებების სახით** სულ გახარჯულია 10 553 860 ლარი, ანუ მთლიანი საბიუჯეტო ხარჯის 31,4 პროცენტი, ბიუჯეტით დამტკიცებული გეგმის ათვისება შეადგენს აღნიშნულ სფეროში წლიური დაგეგმილი თანხების 94,4 პროცენტი. სფეროს ხარჯები ძირითადად მოიცავს კომუნალური სფეროს წყალმომარაგების, გარე განათების ხარჯებს.

▪ **კომუნალური მეურნეობის განვითარება**

➤ **მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების გადახურვის მიზნით ბიუჯეტიდან დაიხარჯა 954241 ლარი.** მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფელში და დაბაში რეაბილიტაცია ჩაუტარდა 29 მრავალბინიან საცხოვრებელ სახლს.

➤ **ქობულეთის მუნიციპალიტეტში არსებულ 6 მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსში განხორციელდა 12 ახალი ლიფტის მოწყობა და ამ მიზნით დაიხარჯა 719999 ლარი.**

➤ **სოფელ მუხაესტატეში (ყოფილი ჩაის ფაბრიკის ბინები) ხანძრის შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავისა და კიბის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის დაიხარჯა 30991 ლარი;**

➤ **ქალაქ ქობულეთში, გელაურის დასახლებაში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (ჩაის ფაბრიკის) ეზოს/სკვერის კეთილმოწყობისათვის დაიხარჯა 2020 წელში სულ 237616 ლარი, წლიური დაგეგმილი თანხის 99 %. აღნიშნული პროექტი გარდამავალი 2021 წლის პროექტია და მიმდინარე წელს არის გათვალისწინებული დასრულება. მოწესრიგდება სანიაღვრე სისტემა, მოპირკეთდება დეკორატიული ფილებით, მოეწყობა მწვანე ზოლი, შეიცვლება გარე განათების სისტემა, განთავსდება საბავშვო ატრაქციონები, საპარკე სკამები და ურნები.**

➤ **ქალაქ ქობულეთში, გელაურის დასახლებაში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (ვილარის) ეზოს/სკვერის კეთილმოწყობისათვის დაიხარჯა 148498 ლარი, წლიური გათვალისწინებული გეგმის 99%. აღნიშნული პროექტი გარდამავალი პროექტია და მისი დასრულება მიმდინარე წელსაა გათვალისწინებული. მოწესრიგდება სანიაღვრე სისტემა, დაიგება ასფალტის საფარი, მოეწყობა მწვანე ზოლი, შეიცვლება გარე განათების სისტემა, განთავსდება საბავშვო ატრაქციონები, საპარკე სკამები და სანაგვე ურნები.**

➤ **ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (ჯავახიშვილის ქ. N51; თავისუფლების N90) ეზოების ტერიტორიაზე სკვერის კეთილმოწყობის მიზნით დაიხარჯა 189053 ლარი; მოწესრიგდა სანიაღვრე სისტემა, მოეწყო**

დეკორატიული ფილები, შეიცვალა გარე განათების სისტემა, დაიდგა საპარკე დეკორატიული სკამები და სანაგვე ურნები.

- დაბა ჩაქვში მ. აბაშიძის ქ. N11-ში ეზოს/სკვერის კეთილმოწყობისათვის გაიხარჯა 142574 ლარი. მოწესრიგდა სანიაღვრე სისტემა, მოეწყო დეკორატიული ფილები, შეიცვალა გარე განათების სისტემა, დაიდგა საპარკე დეკორატიული სკამები და სანაგვე ურნები.
- ქ. ქობულეთში, პოპოვის ქუჩა N28-თან მისასვლელისა და ეზოს/სკვერის კეთილმოწყობის სამუშაოები განხორციელდა თანხით 267257 ლარი. მოწესრიგდება სანიაღვრე სისტემა, გზის სავალ ნაწილზე დაიგო ასფალტო/ბეტონის საფარი, სკვერი მოპირკეთდა დეკორატიული ფილებით, შეიცვალა გარე განათების სისტემა, დაიდგა საპარკე დეკორატიული სკამები და სანაგვე ურნები.
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მემორიალების მოწყობის სამუშაოებისათვის ჯამში დაიხარჯა 27741 ლარი. კერძოდ მოეწყო სოფელ ციხისძირში მოეწყო საბავშვო ბაღის პედაგოგის მარინა კონცელიძის (რომელმაც 13 ბავშვი გადაარჩინა და თვითონ დაიღუპა) მემორიალი და ქალაქ ქობულეთში არსებული 9 აპრილის სკვერში მოეწყო მემორიალი.
- ქობულეთის სანაპიროსთვის შეძენილ იქნა 214 ერთეული დეკორატიული საპარკე სკამები თანხით 209934 ლარი.
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სკვერებსა და პარკებში განსათავსებლად შეძენილ იქნა 17 ერთეული ფანჩატური, რისთვისაც სულ დაიხარჯა 36118 ლარი;
- დაბა ოჩხამურის ადმინისტრაციული შენობის და ქ. ქობულეთში სასწრაფოს ეზოს, სოფ. ცეცხლაურში 8 აგვისტოს ომში დაღუპულთა სკვერის და ჭახათის ცენტრის კეთილმოწყობისათვის ბიუჯეტით დაიხარჯა 116203 ლარი. სასწრაფოს ეზო შემოიღობა და დამონტაჟდა შლაგბაუმი, სოფ. ცეცხლაურში 8 აგვისტოს ომში დაღუპულთა სკვერი შემოიღობა, დაბა ოჩხამურის ადმინისტრაციული შენობის შემოღობვა და ეზოს მოპირკეთება მოხდა დეკორატიული ფილებით, მოეწყო გარე განათებაც, მოწესრიგდა სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემებიც, ჭახათის ცენტრში კი მოეწყო ბეტონის საფარი, რეაბილიტაცია ჩატარდა არსებულ სკამებსა და ღობეებს, შეიცვალა გარე განათების სისტემა, ცენტრში არსებული წრიულის შემოსვა მოხდა ბუნებრივი გრანიტით, რეაბილიტირებულ იქნა არსებული ფანჩატურიც.
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა აჭყვაში სალექციო დარბაზის მოწყობა განხორციელდა 9708 ლარით. პროექტის ფარგლებში მოხდა სალექციო დარბაზში ჭერისა და კედლების სამღებრო სამუშაოები, მოეწყო ახალი მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები, შეიცვალა იატაკი და შეიღება ფასადი.
- სოფ. ლელვას ადმინისტრაციულ შენობაში სამედიცინო პუნქტისათვის ოთახებისა და სველი წერტილის მოწყობის მიზნით ბიუჯეტიდან დაიხარჯა 15151 ლარი. შენობაში ოთახებსა და სველ წერტილებს ჩატარდა რეაბილიტაცია: ჩატარდა სამღებრო სამუშაოები, მოეწყობა წყალ-გაყვანილობის სისტემა, სველი წერტილები მოპირკეთდა კერამიკული ფილებით.
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გორგაძეებში ზურაბ გორგილაძის სახლ-მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა, რომელიც წინა წლის პროექტი იყო და ამისათვის 2020 წელში დაიხარჯა 28304 ლარი.
- ქობულეთის სანაპირო ზოლში 7 ერთეული საშხაპის მოწყობა სანაპიროზე მოეწყო (7 ერთეული) საშხაპე თანხით 9038 ლარი.
- ქალაქ ქობულეთის სანაპირო ზოლში ზღვისპირა პარკის მოწყობის (I ეტაპი) სამუშაოების დასრულებისათვის, რომელიც წინა წელს დაწყებული პროექტი იყო ბიუჯეტმა დახარჯა 146438 ლარი.
- ქალაქ ქობულეთის სანაპირო ზოლში ზღვისპირა პარკის მოწყობის (II ეტაპი) სამუშაოებისათვის ბიუჯეტმა დახარჯა 1978781 ლარი, წლიური დაგეგმილი თანხის 98,9 პროცენტი. როგორც ცნობილია პროექტი გარდამავალი პროექტია და დასრულდება 2021 წელში.

მოეწეობა ბუღვარი 1000 გრძ.მ. სადაც დეკორატიული ფილებით მოპირკეთდება სასეირნო ზოლი და სავალი ნაწილი, მოეწეობა ველო ბილიკები, გაშენდება მწვანე ზოლი, დამონტაჟდება ახალი განათების სისტემა.

- **სპეც. ტექნიკის (1 ერთეული სატვირთო და 1 ერთეული უნივერსალური ექსკავატორი) შეძენისათვის დახარჯულია 387684 ლარი.**

წყალმომარაგების ნაწილში: საბინაო კომუნალური სფეროს ხარჯების 21 % გაიხარჯა

წყალმომარაგებისა და წყლის სისტემის რეაბილიტაცია ექსპლუატაციის ღონისძიებებში თანხით

2260006 ლარი. წლიური გეგმის 2350549 ლართან მიმართებაში ათვისება შეადგენს 96,1 პროცენტს.

- **განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული ღონისძიება: ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში (ციხისძირი, ქვ. კონდიდი) წყალსადენის სისტემაზე ჭაბურღილების მოწყობა თანხით 677149 ლარი;** წყლის დებეტის გაზრდის მიზნით ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში (ციხისძირი - 2 ერთეული, ქვ. კონდიდი-2 ერთეული) წყალსადენის სისტემაზე მოეწეობა 4 ერთეული ჭაბურღილი.

- შპს „ქობულეთის წყალი“-ს სუბსიდირებამ შეადგინა 783334 ლარი, წლიური გათვალისწინებული გეგმის 98,5 პროცენტი.

- ა(ა)იპ „ქობულეთის სოფლის წყალი“-ს სუბსიდირებისათვის დაიხარჯა 799523 ლარი. წლიური დამტკიცებული გეგმის 91,8 პროცენტი.

▪ **გარე განათების მოწყობა.** რეაბილიტაცია და ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები საბინაო კომუნალური სფეროს ხარჯების 13,5% -ია და სულ 1425255 ლარია. იგი მოიცავს მუნიციპალიტეტში არსებული გარე განათების წერტის, მოხმარებული ელექტროენერგიისა და ექსპლუატაციის ხარჯს. გარდა ამისა განხორციელდა:

- **ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში (ქაქუთი, გვარა, სოფელ ქობულეთი-კოხი, კვირიკე-მუხნარი, ახალსოფლის დასახლება, დაგვა, მუხაესტატე-ალამბარი) გარე განათების მოწყობა თანხით 207637 ლარი;** მოხდა ახალი გარე განათების დიოდური ლედ სანათების მოწყობა.

- **ქ. ქობულეთში ზღვის სანაპირო ზოლში (1 კმ) გარე განათების მოწყობის სამუშაოები განხორციელდა თანხით 87931 ლარი.** ქალაქ ქობულეთში, ზღვის სანაპირო ზოლში 1 კმ-მდე მანძილზე დაზიანებული არსებული გარე განათების სისტემა შეიცვალა (ხელოვნური) გრანიტის ქვისგან დამზადებული ახალი ბოძებითა და სანათებით.

- **ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გარე განათების მოწყობა განხორციელდა 271638 ლარით.** პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (ქალაქი ქობულეთი, გელაური, სოფელი ხუცუბანი, სოფელი გვარა, სოფელ ქობულეთი, სოფელი კვირიკე, კვირიკის ავტობანი, სოფელი ციხისძირი, სოფელი წყავროკა, დაბა ჩაქვი) მოხდა ახალი გარე განათების დიოდური ლედ სანათების მოწყობა.

- **წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების წერტების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ასანაზღაურებლად და მისი ექსპლუატაციის მიზნით ბიუჯეტმა დახარჯა სულ 858048 ლარი.**

▪ ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაცია კეთილმოწყობა (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა), რომელიც დაფინანსდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი- "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში" და წლის ბოლოს სახელმწიფო ბიუჯეტიდანაც, ჯამში გამოყოფილი 836000 ლარიდან დაფინანსებამ შეადგინა 496434 ლარი. 52,2%. დარჩენილი ათვისებული თანხები დადებული ხელშეკრულების ფარგლებში,

როგორც ცნობილია გათვალისწინებულ იქნა 2021 წლის ბიუჯეტით და დასრულდება შესაბამისად მიმდინარე წელს.

- მაღალმთიანი დასახლების განვითარების პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი იყო 2019 წელს, როგორც ცნობილია 171600 ლარი. რომლიდანაც დაუფინანსებელი 34320 ლარი, როგორც გარდამავალი პროექტი ფარგლებში დაგეგმილი იყო 2020 წლის ბიუჯეტით და დაფინანსდა სრულად და პროექტი დასრულდა.

- თუნუქის შესყიდვის მიზნით ბიუჯეტი დაიხარჯა 87941 ლარი. ამ მიზნით ბიუჯეტის გათვალისწინებული გეგმის 96%.

- აზომვითი ნახაზების მომზადების მიზნით ბიუჯეტმა დაიხარჯა 4725 ლარი. (95%)

- ა(ა)იპ „ქობულეთის გამწვანების“ სუბსიდირებამ შეადგინა 329505 ლარი, წლიური დაგეგმილი თანხის 98 %.

- შპს „ქობულეთის პროფილაქტიკური დეზინფექციის სადგურის“ სუბსიდირებისათვის დაიხარჯა 25467 ლარი, წლიურად ამ მიზნით გამოყოფილი გეგმიური ხარჯების 93,5%.

- საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების მოწოდების მიზნით ბიუჯეტიდან დაგეგმილი იყო სულ 327000 ლარი. ფაქტიური ხარჯი შეადგენს 234879 ლარს 72 %. აღნიშნული ბიუჯეტის ფარგლებში რამდენიმე პროექტის სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოწოდება გახდა გარდამავალი, რაც როგორც ცნობილია გათვალისწინებულ იქნა 2021 წელში და დასრულდა.

• დასვენება, კულტურა და რელიგიის სფეროში სულ გაიხარჯა 2076340 ლარი, მთლიანი საბიუჯეტო ხარჯის 6,2 %. ათვისებამ შეადგინა აღნიშნულ სფეროში წლიური დაგეგმილი თანხების 89,3%. განხორციელდა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები როგორცაა:

- ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბობოყვათში ფეხბურთის მოედნის მოწყობა თანხით 178789 ლარი.განხორციელდა არსებული საფეხბურთო მოედნის შემოღობვა და მოეწყო დამცავი კედელია.

- ქალაქ ქობულეთის ტერიტორიაზე არსებული 4 ერთეული (რუსთაველის ქ. №166ა, რუსთაველის ქ. №162დ, რუსთაველის ქ.№140 და ლესელიძის ქუჩაზე) სტადიონის რეაბილიტაციის სამუშაოები დაფინანსდა 49740ლარით; შეიცვალა ხელოვნური საფარი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა ღობეებს, დამონტაჟდა ახალი გარე განათების სისტემა.

- ქ. ქობულეთში, ახალსოფელში არსებული სტადიონის რეაბილიტაცია განხორციელდა 68716 ლარით. დაიგო ახალი ხელოვნური საფარი, შემოიღობა, მოეწყო გარე განათების სისტემა.

- სოფ. კვირიკეში (მეურნეობაში და სასირეში) 2 ერთეული მინი სტადიონის მოწყობისათვის ბიუჯეტით დაიხარჯა 119257ლარი. დაიგო ახალი ხელოვნური საფარი, შემოიღობა, მოეწყო გარე განათების სისტემა, მოედნის ირგვლივ დაიგო დეკორატიული ფილები.

- სოფ. ცეცხლარში არსებული სტადიონის შემოღობვის და ხინოს დასახლებაში ახალი სტადიონის მოწყობა დაფინანსდა 167650 ლარით. შემოიღობა. ხინოს დასახლებაში მოეწყო ახალი სტადიონი: დაიგო ახალი ხელოვნური საფარი, შემოიღობა, მოეწყო გარე განათების სისტემა, მოედნის ირგვლივ დაიგო დეკორატიული ფილები.

- ქალაქ ქობულეთის ტერიტორიაზე არსებული 6 ერთეული (აბაშიძის ქუჩაზე ლუკოილის მიმდებარედ, რუსთაველის ქ №140, კომახიძის ქ №13; კომახიძის ქ №15; რუსთაველის ქ №162; აღმაშენებლის გამზირზე დაცული ტერიტორიების მიმდებარედ) სტადიონების რეაბილიტაციისათვის ბიუჯეტით დაიხარჯა 257680 ლარი. შეიცვალა ხელოვნური საფარი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა ღობეებს, დამონტაჟდა ახალი გარე განათების სისტემა.

- მუხაესტატეს მეურნეობაში სპორტული მოედნის მოწყობისათვის დაიხარჯა 65474 ლარი. დაიგო ახალი ხელოვნური საფარი, შემოიღობა, მოეწყო გარე განათების სისტემა.

- კულტურული და სპორტული ღონისძიებების მიმართულებით დახარჯულმა თანხებმა 9246 ლარი შეადგინა. ათვისება პანდემიასთან დაკავშირებული რეგულაციების გათვალისწინებიდან გამომდინარე შეადგენს წლიური დაგეგმილი თანხის 57700 ლართან მიმართებაში 16%.
- ა(ა)იპ „ქობულეთის პარკის“ სუბსიდირების მიზნით გაიხარჯა 258877 ლარი. ათვისება შეადგენს წლიური დამტკიცებული ბიუჯეტის 97,2%.
- ა(ა)იპ „ქობულეთის კულტურის ცენტრის“ დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენდა 568760 ლარს, ფაქტიურად სუბსიდირებამ შეადგინა 513226 ლარი ანუ 90,2%.
- ა(ა)იპ „ქობულეთის მუზეუმის“ სუბსიდირებისათვის გაწეული ხარჯი შეადგენს 106506 ლარს, წლიური დამტკიცებული ბიუჯეტის 97%.
- გურამ თამაზაშვილის სახელობის ა(ა)იპ ქობულეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „მხედრული“ ფუნქციონირებისათვის გაწეული ფაქტიური ხარჯი ბიუჯეტით შეადგენს 204961 ლარს, რაც წლიური დამტკიცებული გეგმის 99,9 პროცენტია.
- სპორტული საკლუბო გუნდების მზარდაჭერის ფარგლებში შპს „სარაგბო კლუბი პონტოს“ სუბსიდირება შეადგენს 72888 ლარს, რაც ამ მიზნით წლიური დაგეგმილი ბიუჯეტის 86%-ია.

▪ განათლების სფეროში გაიხარჯა სულ 5082698 ლარი; მთლიანი საბიუჯეტო ხარჯის 15,1%. წლიური დაგეგმილი თანხების ათვისება შეადგენს 83,8% პროცენტს. აღნიშნულ სფეროში გახარჯული თანხების 61% მოდის ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების ხარჯებზე, თუმცა განხორციელდა ინფრასტრუქტურული მიმართულებითაც, კერძოდ:

➤ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალაში საბავშვო ბაღის მოწყობისათვის ბიუჯეტით გაიხარჯა 273499 ლარი, წლიური დამტკიცებული ბიუჯეტის 39 პროცენტი. როგორც ცნობილია პროექტი თავიდანვე გარდამავალი პროექტი იყო და გათვალისწინებული იყო 2021 წლის ბიუჯეტით. თუმცა მუნიციპალიტეტმა აუთვისებელი თანხები 2020 წელში მიიღო სრულად სახელმწიფო ბიუჯეტით, შესაბამისად არსებული ფულადი ნაშთის საფუძველზე პროექტის 2021 წლის ღირებულებაც გაიზარდა და დასრულდება. პროექტის ფარგლებში აშენდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღი და კეთილმოეწყობა ბაღის ეზოც.

➤ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის დაიხარჯა 311466 ლარი. პროექტის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის სამუშაოები: სველი წერტილები მოწესრიგდა, ჩატარებულ იქნა შიდა სამღებვრო სამუშაოები, აღდგენილ იქნა დაზიანებული სახურავები.

➤ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ალაშხარში საბავშვო ბაღის მოწყობა გათვალისწინებულ იყო 817570 ლარით. ფაქტიურად დაიხარჯა 619137 ლარი (76%.) ღონისძიება დაგეგმილია 2021 წლის ბიუჯეტით. როგორც ცნობილია ალაშხარში არსებული საბავშვო ბაღი განთავსებულია სკოლის შენობაში, რომელიც ვერ აკმაყოფილებს სტანდარტებს. პროექტის ფარგლებში 2021 წელში დასრულდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღის მშენებლობა და კეთილმოეწყობა ბაღის ეზოც.

➤ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ საჩინოში საბავშვო ბაღის მოწყობისათვის 2020 წელში დაიხარჯა 74238 ლარი. გარდამავალი 2020-2021 წლების პროექტი წლის დასაწყისიდან დაგეგმილია 2021 წლის ბიუჯეტით. არსებული საბავშვო ბაღი ვერ აკმაყოფილებს შესაბამის სტანდარტებს, შესაბამისად მოხდება არსებული შენობის დემონტაჟი და აშენდება ახალი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღი.

➤ ა(ა)იპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ სუბსიდირება განისაზღვრა დამტკიცებული ბიუჯეტით 3233015 ლარი. ფაქტიური დაფინანსება შეადგენს 3108647 ლარს. (96%).

- ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ქობულეთის სახელოვნებო სკოლის ფაქტიური სუბსიდირება შეადგენს 474497 ლარს, წლიური დამტკიცებული ბიუჯეტის 99%-ს.
- ა(ა)იპ ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლა დაგეგმილი იყო 223352 ლარით, ფაქტიურად სუბსიდირება შეადგენს 221213 ლარს, ანუ წლიური გეგმის 99%.

სოციალური და ჯანმრთელობის დაცვას სულ მოხმარდა 1 524 984 ლარი, ანუ მთლიანი საბიუჯეტო ხარჯის 4,5 პროცენტი. ათვისებამ შეადგინა აღნიშნულ სფეროებში წლიური დაგეგმილი თანხების 94%. სულ აღნიშნული მიმართულებით მოქმედებდა პროგრამები; კერძოდ:

- **„თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის“** იგი ითვალისწინებს ერთი მობილური გუნდის დაფინანსებას პაციენტების ადგილზე მომსახურების მიზნით. მომსახურება გაეწია 50 ბენეფიციარს. გუნდის მუშაობა ითვალისწინებს ბინაზე ვიზიტსა და მედიკამენტოზურ მკურნალობას საქართველოში რეგისტრირებული, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული და ნეიროლეფსიური საშუალებებით, რომელსაც გამოიყენებს მობილური გუნდის ფსიქიატრი, კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციების (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შესაბამისად. გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 78100. წლიური გეგმის ათვისებაა 92%.

ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა სამკურნალო საშუალებების კომპენსაციით

უზრუნველყოფის პროგრამაში ჩაერთო 5 ბენეფიციარი და დაიხარჯა - 7000 ლარი. წლიური გეგმის ათვისება შეადგენს 100%. ქვეპროგრამის ფარგლებში ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწია 5 ბენეფიციარს, აქედან 2 პირს 18 წლის ზემოთ ასაკის და ფენილკეტონურიით დაავადებულ 18 წლამდე ასაკის 3 პირს.

- როგორც ცნობილია შესაბამისი დაქვემდებარებული დაწესებულებათა (ა)იპ „ქობულეთის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრი“, რომლის წლიური ბიუჯეტი განისაზღვრებოდა 391400 ლარით. ფაქტიური ხარჯი შეადგენს 333565 ლარს. (85%) იგი ახორციელებს „პირველადი ჯანდაცვისა და ცენტრების ფუნქციონირების ხელშეწყობის“ და „სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების“ პროგრამებს. იგი ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლის მოსახლეობის ადგილზე ექიმამდელი სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფას. პროგრამის ფარგლებში 46 მედდასა და 13 მძღოლთან გაფორმდა ხელშეკრულებები. თემის სამედიცინო პუნქტებს მიეწოდა პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტების ყოველთვიური ორგანიზაცია უზრუნველყოფს **მოწყვლადი კატეგორიის** (0-დან 100 000-ს ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე მძიმე და ღრმა შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე ბენეფიციარების, მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის მგრძნობელობის დაქვეითების მქონე შშმ პირების და 0-დან 100 000-ს ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების, რომელთაც შეეძინებათ ახალშობილი) **ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებას**, სადაც შესაბამისი **კატეგორიის** ბენეფიციარები უზრუნველყოფილი არიან მედიკამენტებით, მოვლის საჭიროების მქონე პირები უზრუნველყოფილი არიან მოვლის და დამხმარე საშუალებებით, ხოლო სოციალურად დაუცველი ოჯახები ბავშვის შეძენისას მოვლის საშუალებებით ან/და ბავშვთა კვებით. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში წლის განმავლობაში 0-დან 100 000-ს ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე მძიმე და ღრმა შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირთა

უზრუნველყოფისათვის მოვლის საშუალებებით დაკმაყოფილდა 96 ადამიანი. სოციალურად დაუცველ ოჯახებში - 0-დან 100 000-ს ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე - შვილის დაბადებისას, ბავშვის უზრუნველყოფისათვის ერთი წლის ასაკამდე მოვლის საშუალებებით ან/და ბავშვთა კვებით დაკმაყოფილდა 73 ადამიანი. მგრძნობელობის დაქვეითების მქონე მძიმე და ღრმა შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირთა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფისათვის; კერძოდ, კომპანია „ROHO“-ს ფირმის ნაწოლებისაგან დამცავი ბალიში) დაკმაყოფილდა 10 ადამიანი.

- **“COVID-19 ით ინფიცირებულთა დახმარება მედიკამენტების შეძენისათვის”** ბიუჯეტით გამოყოფილი 7500 ლარიდან გაიხარჯა 3206 ლარი 43%. როგორც ცნობილია პროგრამა ითვალისწინებდა აღნიშნული დაავადებით განკურნებულ პირთა რეაბილიტაციის პერიოდში, საჭიროების შემთხვევაში მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსებას 500 ლარის ფარგლებში. დახმარება გაეწია 16 კოვიდ ინფიცირებულს.
- **სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მიზნით დაიხარჯა 252293 ლარი.** დამტკიცებული ბიუჯეტით ამ მიზნით გათვალისწინებული თანხის 99,9%. როგორც ცნობილია მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარება ძირითადად უზრუნველყოფილია სახელმწიფო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტით დაფინანსებული სამედიცინო პროგრამებით. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის ნაწილს, ოჯახის მცირე შემოსავლების გამო, არ გააჩნია საკმარისი ფინანსური სახსრები, დაფაროს იმ სამედიცინო მომსახურების ხარჯები, რომლებიც არ იფარება სახელმწიფოს მიერ და მას ამის საჭიროება დაუდგა. ქვეპროგრამის ფარგლებში სამედიცინო მომსახურების დაფინანსების მიზნით დახმარება გაეწია 550 პირს.
- **„მუნიციპალური უფასო სასადილოს პროგრამა“** დაფინანსდა თანხით 185825 ლარი. წლიური დაგეგმილი ბიუჯეტის 93%. განხორციელდა გარკვეული სოციალური კატეგორიის ბენეფიციარების უზრუნველყოფა ცხელი სადილით კვირაში 7 დღე (280 ბენეფიციარი). ამავე დროს განხორციელდა კორონავირუსთან დაკავშირებით უფასო სასადილოს ფუნქციონირების შეჩერების საფუძველზე სასურსათო კალათის გაცემა (აპრილის, მაისის, ივნისის თვეში) და მოხდა COVID-19 -თან დაკავშირებით, ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციისა და დაწესებული შეზღუდვების მოთხოვნების გათვალისწინებით ბენეფიციართა უზრუნველყოფა სასურსათო ამანათით. ასევე ამანათები გაიცა აღდგომის და ახალი წლის დღესასწაულებთან დაკავშირებით.
- **„მესამე და მომდევნო ახალშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამით“** სულ გახარჯულია 60000 ლარი, ანუ წლიური გეგმის 100%. ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწია 0-დან 200 000 ქულის მქონე 88 ოჯახს მე-3 და მომდევნო შვილის დაბადების გამო. დახმარება გაეწია 50 ბენეფიციარს.
- **„5 და მეტ მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვთა) ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა“**, როგორც ცნობილია ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 5 და მეტ მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე (18წლამდე ბავშვები) ერთჯერადად მატერიალური დახმარების გაწევას. დაიხარჯა 35000 ლარი (დაფინანსდა 35 ბენეფიციარი). ათვისებულია წლიური გეგმის 100%.
- **„ომის მონაწილეებზე და დაღუპულთა ოჯახის წევრებზე სადღესასწაულო დღეების ორგანიზებისა და დახმარების პროგრამით“** სულ პროგრამით დაიხარჯა 14865 ლარი. წლიური გეგმის 93,9%. ქვეპროგრამის ფარგლებში 36 ვეტერანის ოჯახზე გაიცა ერთჯერადი ფინანსური დახმარება სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით; 7 ოჯახზე კი გაიცა დახმარება ვეტერანის გარდაცვალების გამო.
- **„დედ - მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური მატერიალური დახმარება“-ს** პროგრამა ითვალისწინებს დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიურ მატერიალურ დახმარებას 100 ლარის ოდენობით. წლის განმავლობაში 7 დედ-მამით ობოლს ყოველთვიურად ერიცხებოდა 100 ლარის ფულადი დახმარება, რამაც ჯამში 8300 ლარი შეადგინა. წლიური გეგმის 92%.

- „უმწეო გარდაცვლილის ოჯახზე ერთჯერადი დახმარების პროგრამა“ , როგორც ცნობილია ითვალისწინებს ერთჯერადი დახმარების (400ლარი) გაწევას მუნიციპალიტეტში მცხოვრები უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებზე, რომლებსაც არ გააჩნიათ საჭირო ხარჯები. ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწია 48 ოჯახს, სულ პროგრამის ფარგლებში დაიხარჯა 19200ლარი. ათვისებულ იქნა წლიური გეგმის 96%.
- „დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პაციენტების ტრანსპორტირების პროგრამა“ განხორციელდა დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარისა და მათი თანმხლები პირების დიალიზის სეანსების ჩასატარებლად ტრანსპორტით გადაადგილებისათვის ყოველთვიური მატერიალური დახმარების გაწევა. პროგრამაში ფაქტიურად ჩართული იყო 70 ბენეფიციარი. ამ მიზნით სულ გაიხარჯა 47892 ლარი. წლიური გეგმის 97,7% იქნა ათვისებული.
- „ცალკეული სოციალური კატეგორიის ოჯახების გაზიფიცირების პროგრამა“ სოციალურად დაუცველი ოჯახების ბაზაში 0-დან 65 000-მდე სარეიტინგო ქულით დარეგისტრირებული ოჯახების და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული საომარი მოქმედებების შედეგად დაღუპულ მეომართა ოჯახების და 0-დან 200 000 ქულამდე ომის ვეტერანების ოჯახების გაზიფიცირების მიზნით ფაქტიურად ჩართულ 54 ბენეფიციარის ოჯახების გაზიფიცირებისათვის დაიხარჯა 22400 ლარი, ანუ წლიური პროგრამით გათვალისწინებული გეგმის 74,7%.
- „ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაციის/ რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა ტრანსპორტირების ხელშეწყობის პროგრამა“ ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია /რეაბილიტაციის პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარისა და მათი თანმხლები პირის ფსიქოსომატური რეაბილიტაციის კურსების ჩასატარებლად ტრანსპორტით გადაადგილებისათვის მატერიალური დახმარება გაეწია პროგრამაში ფაქტიურად ჩართულ 100 -მდე ბენეფიციარს და ამ მიზნით დაიხარჯა 16216 ლარი. წლიური გეგმის 64,8%.

2020წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან სულ წელიწადში

გაიხარჯა 302275ლარი.

№	დასახელება	შინაარსი	დაფინანსება	შენიშვნა
1	ბრძანება №01-06 29 2020 წლის 21 იანვარი	ერთჯერადი დახმარება	400	თანხა გამოეყო ქობულეთში, დაბა ჩაქვი, ჯინჭარაძის ქ. №2-ში მცხოვრებ მოქალაქე ბელა მგელაძეს პ/ნ 61005002040 მედიკამენტების შეძენის მიზნით
2	ბრძანება №01-06 30 2020 წლის 21 იანვარი	ერთჯერადი დახმარება	350	თანხა გამოეყო სოფელ ქაქუთში მცხოვრებ მოქალაქე სოსო მართალიშვილს პ/ნ 61004013474 დედის, ფატი მართალიშვილისათვის პ/ნ 61004048814 ველო ეტლის შეძენის მიზნით
3	ბრძანება №01-06 47 2020 წლის 30	ერთჯერადი დახმარება	1 000	თანხა გამოეყო ქ. ქობულეთში, 9 აპრილის ქ. №57-ში მცხოვრებ მოქალაქე კახა ჯინჭარაძეს პ/ნ

	იანვარი			65002007314 მედიკამენტების შეძენის მიზნით
4	ბრძანება №01-06 55 2020 წლის 31 იანვარი	ერთჯერადი დახმარება	400	თანხა გამოეყო სოფელ მუხაესტატეში მე-17 ქუჩა №13 ბ. 5-ში მცხოვრებ ვალენტინა კალიაძე-ბაიას პ/ნ 61004033503 მეუღლის ვიქტორ კალიაძის გარდაცვალების გამო
5	ბრძანება №01-06 69 2020 წლის 06 თებერვალი	ერთჯერადი დახმარება	400	თანხა გამოეყო დაბა ჩაქვში ნინოშვილის №20-ში მცხოვრებ მოქალაქე ავრორა უბირიას პ/ნ 61005005720 დედის 102 წლის ანტისა ნორაკიძის გარდაცვალების გამო.
6	ბრძანება №01-06 122 2020 წლის 24 თებერვალი ბრძანება №01-06 218 2020 წლის 18 მარტი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა	57 300	თანხა გამოეყო სტიქიის შედეგად დაზარალებულ 38 ოჯახს დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის მიზნით.
7	ბრძანება №01-06 192 2020 წლის 11 მარტი	კორონა ვირუსის გავრცელების პრევენციულ ღონისძიებებთან დაკავშირებით	4 000	სადეზინფექციო საშუალებების შესყიდვის მიზნით
8	ბრძანება №01-06 220 2020 წლის 19 მარტი	კორონა ვირუსის გავრცელების პრევენციულ ღონისძიებებთან დაკავშირებით	6 575	პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების სამედიცინო პერსონალისათვის ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შეძენა
9	ბრძანება №01-06 240 2020 წლის 27 მარტი ბრძანება №01-06 295 2020 წლის 05 მაისი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა	4 500	თანხა გამოეყო სტიქიის შედეგად დაზარალებულ 5 ოჯახს დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის მიზნით.

10	ბრძანება №01-06 242 2020 წლის 30 მარტი	კორონა ვირუსის გავრცელების პრევენციულ ღონისძიებებთან დაკავშირებით	3 983	თანხა გამოიყო 2100 ლიტრი საწვავის (ბენზინი) შეძენის მიზნით
11	ბრძანება №01-06 247 2020 წლის 01 აპრილი	კორონა ვირუსის გავრცელების პრევენციულ ღონისძიებებთან დაკავშირებით	2 175	სადეზინფექციო საშუალებების შესყიდვის მიზნით
12	ბრძანება №01-06 265 2020 წლის 10 აპრილი	კორონა ვირუსის გავრცელების პრევენციულ ღონისძიებებთან დაკავშირებით	5 100	სადეზინფექციო საშუალებების შესყიდვის მიზნით
13	ბრძანება №01-06 280 2020 წლის 28 აპრილი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა	3 900	თანხა გამოეყო სტიქიის შედეგად დაზარალებულ 4 ოჯახს დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის მიზნით.
14	ბრძანება №01-06 305 2020 წლის 13 მაისი	ერთჯერადი დახმარება	700	თანხა გამოეყო ქობულეთი, სოფელ ქაქუთში მცხოვრებ ჯამბულ მართალიშვილს (პირ. 61004042841)
15	ბრძანება №01-06 339 2020 წლის 01 ივნისი	ერთჯერადი დახმარება	600	თანხა გამოეყო ქობულეთი, კომახიდის ქუჩა №100 ბ №7-ში მცხოვრებ ზურაბ ხაჯიშვილს (პ/ნ 61004023237) რადიკალური რადიოთერაპიული მკურნალობის ჩატარების მიზნით
16	ბრძანება №01-06 343 2020 წლის 08 ივნისი	ერთჯერადი დახმარება	500	თანხა გამოეყო ქობულეთში ნინოშვილის 5-ში მცხოვრები იაგო სიამაშვილის (პ/ნ 61004006142) ერთჯერად მატერიალურ დახმარება (COVIT-19) ინფიცირებული დედ-მამის ციცო სიამაშვილის და გენო სიამაშვილის გარდაცვალების გამო

17	ბრძანება №01-06 345 2020 წლის 08 ივნისი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად (დიდთოვლობა) დაზარალებული ოჯახებისათვის დახმარება	31 640	თანხა გამოეყო სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი სახლების სახურავების აღდგენის მიზნით
18	ბრძანება №01-06 350 2020 წლის 10 ივნისი	სახნავ-სათესი ფართობის დამუშავება	15 050	თანხა გამოიყო ქობულეთში 215 ჰა-ი სახნავ-სათესი ფართობის დამუშავების მომსახურების შესყიდვის მიზნით
19	ბრძანება 01-06 380 2020 წლის 18 ივნისი	ერთჯერადი დახმარება	900	თანხა გამოეყო ქობულეთი, სოფ. გვარაში მცხოვრებ დალი მოწყობილს (პ/ნ 61004020635) მკურნალობის ჩატარების მიზნით
20	ბრძანება 01-06 388 2020 წლის 19 ივნისი	ერთჯერადი დახმარება	500	თანხა გამოეყო ქობულეთი, რუსთაველის ქ.327 ბ-ში მცხოვრებ ზვიად ბალაძეს (პ/ნ 61004014898) დედის თამილა ზაკურიძის პ/ნ (61004063852) მკურნალობის ჩატარების მიზნით
21	ბრძანება 01-06 430 2020 წლის 03 ივლისი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა	3 600	თანხა გამოეყო სტიქიის შედეგად დაზარალებულ 6 ოჯახს დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის მიზნით
22	ბრძანება 01-06 599 2020 წლის 25 აგვისტო	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახისათვის დახმარება	5 000	თანხა გამოეყო მოქალაქე გურამ ნაკაშიძეს (პ/ნ 61005004125)
23	ბრძანება 01-06 613 2020 წლის 26 აგვისტო	ერთჯერადი დახმარება	395	თანხა გამოეყო ქობულეთი, სოფელ ალამბარში მცხოვრებ ოლეგ გუჩმაიძეს (პ/ნ 61004033676) პროთეზის შეძენის მიზნით

24	ბრძანება 01-06 619 2020 წლის 31 აგვისტო	ერთჯერადი დახმარება	3 800	თანხა გამოეყო ქობულეთი, სოფელ კვირიკეში მცხოვრებ არჩილ ვერულიძეს (პ/ნ 61004005848) ერთჯერადი დახმარების გაწევის მიზნით
27	ბრძანება 01-06 620 2020 წლის 31 აგვისტო	ერთჯერადი დახმარება	500	თანხა გამოეყო ქობულეთი, სოფ. ხუცუბანში მცხოვრებ მოქალაქე ავთანდილ კონცელიძეს (პ/ნ 61004056188) ერთჯერადი დახმარების გაწევის მიზნით
26	ბრძანება 01-06 622 2020 წლის 31 აგვისტო	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა	58 200	თანხა გამოეყო სტიქიის შედეგად დაზარალებულ 38 ოჯახს დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის მიზნით.
27	ბრძანება 01-06 623 2020 წლის 31 აგვისტო	ერთჯერადი დახმარება	500	თანხა გამოეყო ქ. ქობულეთი, 9 აპრილისქუჩაზე მცხოვრებ მოქალაქე გიორგი გოგიტიძეს (პ/ნ 61004013047) ერთჯერადი დახმარების გაწევის მიზნით
28	ბრძანება 01-06 650 2020 წლის 07 სექტემბერი	სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დახმარება	10 046	თანხა გამოეყო ქობულეთი, სოფ. კვირიკეში მცხოვრებ მოქალაქე ბეგლარ მუშაბაძეს (პ/ნ 61004049293) 760 ლარი, ბ) ქობულეთი, დაბა ოჩხამური, ჭავჭავაძის ქ.4-ში მცხოვრებ მოქალაქე როლანდ მარკოიძეს (პ/ნ 61004057229) 1359,8 ლარი და ქობულეთი, სოფ. ქვედა სამებაში მცხოვრებ მოქალაქე კახა გოგიტიძეს (პ/ნ 61004003210) 7926,33 ლარი
29	ბრძანება 01-06 702 2020 წლის 23 სექტემბერი	სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დახმარება	4 445	თანხა გამოეყო ქობულეთი, სოფ. ციხისძირში მცხოვრებ მოქალაქე მალხაზ მოსიძეს სახურავის აღსადგენად 3245 ლარი და ქობულეთი, სოფ. ზედა კონდიდში მცხოვრებ მოქალაქე მაკა ხუციძეს დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფისათვის 4 თვის ქირით უზრუნველყოფის მიზნით 1200

				ლარი
30	ბრძანება 01-06 720 2020 წლის 01 ოქტომბერი	სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დახმარება	2 871	თანხა გამოეყო ქობულეთი, დაბა ჩაქვი, აღმაშენებლის VI შესახვევი №7-ში მცხოვრები მოქალაქე მალხაზ მჭავანაძეს (პ/ნ 61004051763) 1670,57 და ქობულეთი, სოფ. ჭახათში მცხოვრები მოქალაქე სულიკო სანიკიძის (პ/ნ 61004047525) ოჯახს დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფისათვის 4 თვის ქირა 1200
31	ბრძანება 01-06 722 2020 წლის 01 ოქტომბერი		6 000	თანხა გამოიყო დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ჩასატარებლად მომსახურეობის შესყიდვის მიზნით
32	ბრძანება 01-06 736 2020 წლის 06 ოქტომბერი	სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დახმარება	9 394	თანხა გამოეყო ოჯახებს ხანძრის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლის აღსადგენად ქობულეთი, დაბა ჩაქვი, თამარ მეფის ქ. № 97-ში მცხოვრები მოქალაქე თამრიკო ბოლქვაძის (პ/ნ61004058787) 5086,11 ლარი, ქობულეთი, წერეთლის ქ. №8-ში მცხოვრები მოქალაქე იანუ შალიმოვის (პ/ნ61004057095) 768,02 ლარი, ქობულეთი, ჯავახიშვილის მეორე შესახვევი ქ. №31-ში მცხოვრები მოქალაქე თამაზ ხოზრევანიძის (პ/ნ61009002340) 622,55 ლარი, ქობულეთი, დაბა ჩაქვი, რუსთაველის ქ. №2-ში მცხოვრები მოქალაქე თენგიზ ირემაძის (პ/ნ61004029752) 2917,07 ლარი.
33	ბრძანება 01-06 796 2020 წლის 20 ოქტომბერი	სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დახმარება	8 685	თანხა გამოეყო ოჯახებს ხანძრისა და ქარის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლის აღსადგენად ქობულეთი, დაბა ჩაქვი, რუსთაველის ქ. №1-ის მიმდებარედ მცხოვრები მოქალაქე რამაზ ჯინჭარაძის (პ/ნ61010006740) 3819,48 ლარი, ქობულეთი, დაბა ოჩხამური, სოფ.ცეცხლაური, კაიკაციშვილის ქ.

				№ 8-ში მცხოვრები მოქალაქე მარია პაიჭაძის (პ/ნ 61004017076) 4865,19 ლარი
34	ბრძანება 01-06 927 2020 წლის 2 დეკემბერი	სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დახმარება	3 400	თანხა გამოეყო სტიქიის შედეგად დაზარალებულ 6 ოჯახს დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფისათვის
35	ბრძანება 01-06 952 2020 წლის 8 დეკემბერი	ერთჯერადი დახმარება	700	თანხა გამოეყო ქობულეთი, რუსთაველის ქუჩა №162ა ბინა 59-ში მცხოვრებ მზევინარ ცივამეს (პ/ნ 61404078511) შვილის რომეო ცივამის (პ/ნ 61004020038) გეგმიური ქირურგიული მომსახურების დაფინანსების მიზნით
36	ბრძანება 01-06 953 2020 წლის 9 დეკემბერი	ერთჯერადი დახმარება	395	თანხა გამოეყო ქობულეთი, სოფელ ციხისძირში მცხოვრებ რევაზ დავითაძეს (პ/ნ 61005008657) პროთეზის შეძენის მიზნით
37	ბრძანება 01-06 981 2020 წლის 16 დეკემბერი	ერთჯერადი დახმარება	700	თანხა გამოეყო ქობულეთი, სოხუმის ქუჩა №2-ში მცხოვრებ ლიანა ვერულიძეს (პ/ნ 61004042060) სამედიცინო მომსახურების მიზნით
38	ბრძანება 01-06 999 2020 წლის 21 დეკემბერი	სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დახმარება	19 641	თანხა გამოიყო სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი სახლების სახურავების აღსადგენად და დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის მიზნით
39	ბრძანება 01-06 1008 2020 წლის 24 დეკემბერი	ერთჯერადი დახმარება	2 000	თანხა გამოეყო ქობულეთი, სოფ. კვირიკეში მცხოვრებ გიორგი ცეცხლაძეს (პირ. 61004018298) მედიკამენტების შეძენისთვის და დამატებითი გამოკვლევების მიზნით
40	ბრძანება 01-06 1009 2020 წლის 24 დეკემბერი	ერთჯერადი დახმარება	700	თანხა გამოეყო ქობულეთი, სოფ. ხუცუბანში მცხოვრებ ბექა სოლომონიძეს (№61004055451) შვილის თედო სოლომონიძის (№61650056986) სამედიცინო მომსახურების მიზნით

41	ბრძანება 01-06 1017 2020 წლის 28 დეკემბერი	სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დახმარება	21 332	სტიქიის შედეგად დაზარალებული 6 ოჯახისათვის დახმარების გაწევის მიზნით
----	--	---	--------	--

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებებით 2020 წლის
რესპუბლიკური ბიუჯეტით სულ მუნიციპალიტეტში ჩამორიცხულია 181729 ლარი. კერძოდ:

№	დასახელება	შინაარსი	ხარჯი	შენიშვნა
1	2020 წლის 22 იანვარის ბრძანება №24	სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახის დახმარების გაწევის მიზნით	15 000	თანხა გამოეყო სტიქიის შედეგად დაზარალებულ სოფელ ქაქუთში მცხოვრები, ჯემალ კიკნაძეს პ/ნ 61004037847 ოჯახისათვის დახმარების გაწევის მიზნით
2	2020 წლის 14 თებერვლის ბრძანება №81	ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარების გაწევის მიზნით	16 714	თანხა გამოეყო სოფელ ციხისძირში მცხოვრები, გურამ ნაკაშიძეს (პ/ნ 61005004125) 10000 ლარი და დაბა ჩაქვში, აბაშიძის ქ. №6-ში მცხოვრები ზაურ დეკანაძეს პ/ნ 61005010738 6714 ლარი ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახისათვის დახმარების გაწევის მიზნით
3	2020 წლის 02 ივნისის ბრძანება №256	ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარების გაწევის მიზნით	15 000	თანხა გამოეყო ხანძრის შედეგად დაზარალებულ სოფელ ქაქუთში მცხოვრები, ქეთევან მახარაძეს პ/ნ 61004042862 ოჯახისათვის დახმარების გაწევის მიზნით
4	2020 წლის 22 ივლისის ბრძანება №367	ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარების გაწევის მიზნით	10 000	თანხა გამოეყო ხანძრის შედეგად დაზარალებულ სოფელ ჩაისუბანში მცხოვრები, ბეჟან მამულაიშვილს პ/ნ 61005007907 ოჯახისათვის დახმარების გაწევის მიზნით
5	2020 წლის 27 აგვისტოს ბრძანება №644	სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახის დახმარების გაწევის მიზნით	125 015	თანხა გამოეყო სტიქიის შედეგად დაზარალებულ და ეკომიგრანტი 10 ოჯახისათვის დახმარების გაწევის მიზნით

2020 წლის განმავლობაში ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი, თანხების ხარჯვის შესახებ

დასახელება	შინაარსი	სულ გამოყოფილი თანხა	დაფინანსება	შენიშვნა
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2020 წლის 28 თებერვლის №18 განკარგულება და 2020 წლის 21 დეკემბრის №107 განკარგულება	ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაცია კეთილმოწყობა (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა)	308381	308381	თავდაპირველად გამოყოფილი 836000 ლარიდან ჩამორიცხა 308381 ლარი, ხოლო სხვაობა 527619 ლარი ჩამორიცხული იქნა სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

მომხსენებელმა მირიან ქათამაძემ საყურადღებო ინფორმაციით დეპუტატებს მიმართა, რომ აჭარის არ მთავრობის განკარგულება უახლოეს დღეებში იქნება წარმოდგენილი, რომელიც ეხება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გასატარებელი ღონისძიების შესახებ. ანალოგიურად, როგორც გასულ წელს 2020 წლის განმავლობაში აჭარის არ მთავრობამ შეინარჩუნა სოფლის მხარდაჭერის პროგრამა სრული მოცულობით, დაახლოებით 800 000 ლარზე მეტი არის ქობულეთის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი რესპუბლიკური ბიუჯეტიდან. რაც გვადლევს შესაძლებლობას, რომ ის საჭიროებები, რომელიც სოფლად არსებული დასახლებების წინაშე არსებობს მაქსიმალურად იყოს დაფინანსებული და გადაწყვეტილი.

ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების შესახებ აღნიშნა, რომ როგორც მიმდინარე წელს ეხლაც აქტიურად ვახორციელებთ 2021 წლის საბიუჯეტო მაჩვენებელი იყოს მაღალი, ამ კუთხით გვაქვს შეფერხებები რაც ობიექტური მიზეზებით არის განპირობებული, თუმცა ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელების შესაძლებლობა გვქონება. მისი თქმით ბიუჯეტის ცვლილებების პროექტზე მუშაობის დროს მიიღებს ყველა რაციონალურ და შესაბამის წინადადებას, რასაც შეძლებისდაგვარად გაითვალისწინებთ, მოიწვია ოპოზიციური საკრებულოს წევრები სურვილის არსებობის შემთხვევაში უახლოესი ბიუჯეტის ცვლილების დროს.

ვაჟა შავიშვილმა - გააკეთა განცხადება, მისი თქმით შესრულების ანგარიში პროგრამული შესრულების კუთხით კომისიამ განიხილა საკმაოდ დეტალურად და მუხლობრივად, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება და ჩათვალა, რომ როგორც პროგრამული ასევე მუხლობრივი ნაწილში შესრულებული ანგარიში დაამტკიცა, ასევე გამოეხმაურა წინადადებას, რომ მომავალ ბიუჯეტის ცვლილებებთან დაკავშირებით, რომ ციხისძირში არის ორი ძირითადი გადასასვლელი ერთი ინვესტორ კომპანიას სერვიტუტით აქვს დატვირთული და რომელიც მოწესრიგებულია, ხოლო მეორე გადასასვლელი, რომლითაც მოსახლეობა სარგებლობს ეს არის ე.წ „სტრაიტელი“-ს მიმდებარე

ტერიტორია, ცვლილებების დროს აუცილებლად მოხდეს გათვალისწინება გადასასვლელის მოპირკეთება და განათება. მეორე ტერიტორია ეს არის შემოქმედების სახლთან, რომელიც როგორც მოსახლეობის თხოვნაა და ასევე თქვენი დაპირებაც მოსახლეობასთან შეხვედრის დროს.

მირიან ქათამაძე - დაეთანხმა, რომ ნამდვილად იყო შეხვედრა და საუბარი აღნიშნულ საკითხზე მოსახლეობასთან. ვიმუშავებთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, და შეძლებისდაგვარად მოვახდენთ გათვალისწინებას.

ლელა ვერულიძე - გააკეთა განცხადება ადგილობრივი ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით ქალაქში მოეწყოს ისეთი ინფრასტრუქტურა, რომელითაც მოვიზიდავთ ტურიზმს, ის დაინტერესდა კონკრეტულად რა იგეგმება ამ კუთხით? მისი თქმით საჭიროება მოითხოვს საპირფარეშოების დამატებას ქალაქის ტერიტორიაზე, ასევე მწვავე პრობლემად დაასახელა მიუსაფარ უპატრონო ძაღლების პრობლემის მოგვარების საკითხი. ის დაინტერესდა ხომ არ იგეგმება სამომავლოდ აღნიშნული პრობლემის მოგვარება, რადგან სანაპიროზე უპატრონოდ მოსეირნე ძაღლები ადამიანებს საფრთხეს უქმნიან. ასევე საავტომობილო გზების ორმული შეკეთების პრობლემა დაასახელა, სადგურის ტერიტორიაზე, სადაც ორმულების სიმრავლე ავარიულ მდგომარეობას ქმნის.

მირიან ქათამაძის თქმით, თუ რამე არის დაგეგმილი ატრაქციის გზით ჩვენი ქალაქის, ზღვისპირა პარკის მოწყობა საკმარისია, თუმცა სავსებით საფუძვლიანი ასპექტები იქნა დასმული. საპირფარეშოების საკითხს, რაც შეეხება 2019 წელს განხორციელდა ფიჭვნარის დასახლებაში 3 საპირფარეშოს მოწყობა, ამ ეტაპზე იგეგმება არსებული საპირფარეშოების რეაბილიტაცია. ჯერ-ჯერობით ახალი დაგეგმილი არ არის, თუმცა სამომავლოდ დაიგეგმება. რაც შეეხება მიუსაფარი ძაღლების კონტროლს, რაც მთავარ გამოწვევად რჩება მიუხედავად დიდი მონდომებისა საკითხი ურთულესი გადასაწყვეტია. რადგან ეს არის დაკავშირებული კონკრეტულ ფინანსურ დანახარჯებთან. არცერთ განვითარებულ ქალაქში სამწუხაროდ აღნიშნული დაწესებულება ვერანაირად თავისთავზე დამოუკიდებლად ვერ ფინანსდება. ეს არ არის კომერციაზე ორიენტირებული საქმიანობა. რეალურად მიზანი არის, რომ ცხოველი არ უნდა დაბრუნდეს ბუნებაში და კვლავ არ წარმოიქმნას უპატრონო ცხოველების საფრთხე. მისი თქმით ბათუმთან აქვთ კომუნიკაცია და შესაბამისი ტენდერი გამოცხადებულია, ხელშეკრულება გაფორმებულია და ქალაქის მასშტაბით მაქსიმალურად აქტიური იქნება ცხოველის კონტროლი. ამ კუთხით ვგეგმავთ კიდევ საინტერესო პროექტის დამუშავებას, პირველ რიგში იმ ოჯახების, რომლებსაც სურთ და შეუძლიათ, მიუსაფარი ძაღლების შეფარება. აღნიშნული ოჯახების მხარდაჭერის პროგრამაზე შეიძლება ვიმუშაოთ მიუსაფარი ძაღლების გამოკვებისათვის. თუ ეს შეგვიძინდება, რა თქმა უნდა უპატრონო ძაღლების რიცხვს ქალაქში. ამ კუთხითაც გვაქვს მონახაზი, რომელიც მალე რეალიზაციის საშუალებას მოგვცემს. ხოლო, ორმულებთან დაკავშირებით განმარტა, რომ ბიუჯეტში გვაქვს მოცემულობა, თუმცა კომპეტენციის ფარგლებში ის, რაც არ არის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გზა სამწუხაროდ მუნიციპალიტეტი ვერ გააკეთებს, სადგურის მიმდებარე ქუჩა და რკინიგზის არის საგზაო დეპარტამენტის კომპეტენცია, რასაც ღირსეულად მიხედავს, როგორც აქამდე პირნათლად ასრულებდა.

მერაბ ცინცაბაძე შენიშვნები ჰქონდა ბიუჯეტის განხილვის დროს, ის დაინტერესდა, თუ რამდენი პროცენტით არის შესრულება ბიუჯეტის? მისი თქმით მერია არასწორად განკარგავს თანხებს, რომლის მიზნობრიობაც სათანადოდ დასაბუთებული არაა. როგორც აღნიშნა სოციალური კუთხით გაცილებით ნაკლები თანხაა გათვალისწინებული ბიუჯეტში ვიდრე დასვენება, კულტურა რელიგია და ა.შ. ასევე შენიშვნები გამოთქვა წყალთან დაკავშირებით, რომ სასმელად უვარგისი სასმელი წყალი მიეწოდება მოსახლეობას, ასევე მეგობრობის ქუჩაზე ჩატარებული ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს უხარისხო უწოდა, ხოლო „ოაზისის“ მიმდებარე ტერიტორიის განკარგვა არასწორად მიიჩნია.

მირიან ქათამაძე - ბიუჯეტის შესრულება არის მაღალი იმ ფონიდან გამომდინარე, რაც გვქონდა 2020 წელს და ეს არის 92 % -ზე მეტი. შესაბამისად აქედან კაპიტალური ტრანსფერის მაჩვენებელი

საკმაოდ მაღალია, უფრო მეტი მაჩვენებელი გვექნებოდა, რომ არა სხვადასხვა ხასიათის შეფერხებები, რომელიც გვექონდა სამწუხაროდ განსაკუთრებით პირველ, მეორე კვარტალში. ხაზი გაუსვა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაბალ დონეს, რომლებიც იჩენენ რეგულაციების მხრივ. ამ კუთხით საჭიროა მეტი პასუხისმგებლობა. ამ კუთხით შსს სამინისტრო კარგად მუშაობს, რწმუნებულებიც გაფრთხილებული არიან მკაცრად, და მაჟორიტარებსაც მიმართა თხოვნით, რომ დიდი თავშეყრის არსებობის შემთხვევაში მოხდეს შესაბამის სამსახურზე გადაცემა დროულად, რომ თავიდან ავიცილოთ ვირუსით გამოწვეული საფრთხე. აუცილებლად საჭიროა თანამშრომლობა, რადგან ტურისტული სეზონი არ შეფერხდეს. რაც შეეხება წყლის სისტემას, წარმოდგენილია, თუ რა დაიხარჯა, ძირითადად ჭაბურღილების კუთხით მოხდა განკარგვა, სოციალური კუთხით ბევრად მეტი თანხაა და გაცილებით მეტი პროგრამებია გათვალისწინებული ვიდრე გასულ წელს. რაც შეეხება სასტუმრო „ოაზის“-თან დაკავშირებულ საკითხს, ადგილობრივი მოსახლეობა ნამდვილად კმაყოფილია რის გამოც შენიშვნებს და ბრალდებას ვერ დავეთანხმები. ინფრასტრუქტურული სამუშაოების კუთხით იგეგმება მთლიანი სანაპირო ზოლის კეთილმოწყობა.

ლია შაქარიშვილი - სოფელ კვირიკეში გარე განათების სამუშაოების განხორციელების გამო მადლობა გადაიხადა, მისი თქმით ბევრი ტურისტი სარგებლობს აღნიშნული გზით და უბნის განათება იყო მნიშვნელოვანი, თუმცა დარჩა მცირე მონაკვეთი და კარგი იქნება აღნიშნული საკითხის გადაჭრაც, რომ მეტად უსაფრთხო გახდეს გადაადგილება და გარე განათების გარეშე დარჩენილ მეზობლებს თანასწორობის განცდა გაუჩნდეთ. ასევე ყურადღება გაამახვილა ფერდსამაგრ გამაგრებით სამუშაოებზე, ის დაინტერესდა გვაქვს, თუ არა საპროგნოზო მაჩვენებელი იმისა, რომ აპრილის თვეში როცა ცვლილებები იქნება შევძლებთ აღნიშნული პროექტების განხორციელებას.

მირიან ქათამაძე - გარე განათებას, რაც შეეხება სასიხარულოა თუკი შესაბამისი შეფასება მოჰყვა მოსახლეობის მხრიდან, ასევე ტურისტული მიმართულებით მომავალშიც იქნება პრიორიტეტი. რაც შეეხება სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებს რა თქმა უნდა მეტი არის გასაკეთებელი. ერთი ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით, ხელმეორედ გამოცხადდა და იმედია შედეგაა, რაც მოგვცემს იმის შესაძლებლობას რამდენიმე ღონისძიება განვახორციელოთ განსაკუთრებით იმ მიმართულებებით, რომლებიც სახიფათოა.

ჯანსუღ ჯინჭარაძე - დასვა შეკითხვა საფეხბურთო კლუბ შუქურასთან დაკავშირებით, - რა მიზანს ემსახურებოდა კლუბის ეკონომიკის სამინისტროზე გადაცემა? საფეხბურთო სტადიონი ძალიან ცუდ მდგომარეობაშია და საჭიროებს ყურადღებას.

მირიან ქათამაძე - ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საფეხბურთო კლუბ „შუქურა“-ს 100% წილი გადაეცა უსასყიდლოდ აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, შემდგომში დაინტერესებულ პირზე მართვის უფლებით გადაცემის მიზნით. ეს არ არის „შპს“-ს გასხვისების წილი, ეს არის სარგებლობის ფორმა, რაც გულისხმობს წილის მართვას კონკრეტული ხასიათის შეზღუდვებით, ანუ მუნიციპალიტეტის მაგივრად პარტნიორი იქნება კონკრეტული კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც განკარგავს შუქურას წილს. გუნდში იყო მენეჯმენტი, რომელიც მუშაობდა გარკვეული წლების განმავლობაში სპონსორების სახით, რამაც გააჩინა ნდობა იმისა, რომ შესაძლებელია გაამართლოს ამ მოდელმა, ქობულეთის შუქურას დაბრუნება ელიტ ლიგაში არის წარმატება. რეალურად ბევრი რამ გამოსწორდა ამ კუთხით, რამაც იმოქმედა სპორტულ შედეგებზეც, მისი თქმით მზადდება შესაბამისი ხელშეკრულება მართვის უფლებით გადაცემისათვის, რომელიც იქნება კონკრეტული პირობებით, რაც საკრებულომ მიიღო, რომლის შეცვლა აჭარის ეკონომიკის სამინისტროს არ შეუძლია. ხელშეკრულება 25 წლიანი მართვის უფლებითაა, შესაბამისად მითითებულია სპორტულ შედეგებზე პასუხისმგებლობაც, რომ შეინარჩუნოს ადგილი უმაღლეს ლიგაში. რაც მთავარია სრულ დაფინანსებას მიმდინარე ხარჯის, იღებს მართვის უფლების მიმღები კომპანია. რაც შეეხება სტადიონს ფინანსური თვალსაზრისით არ შეგვიძლია ამ

მოქმედებების განხორციელება, თუმცა ნამდვილად საჭიროებს სწრაფად მოწესრიგებას. მისი ინფორმაციით 13 მაისს უკვე იგეგმება ბათუმის სტადიონის გახსნა, და ჩვენს გუნდს ერთად უფულშემატკივროდ. მისი თქმით ქობულეთის სტადიონის სრული რეაბილიტაცია იგეგმება 2022 წლის ახალგაზრდობის ევროპის ჩემპიონატისთვის.

მამუკა შამილიშვილმა გამოეხმაურა მ.ცინცაბაძის განცხადებას ოაზისთან დაკავშირებით, მისი თქმით „ოაზისი“- ს განხორციელებული პროექტი არის მნიშვნელოვანი, ვისაც ახსოვს იქ იყო სამშენებლო გორები, ეხლა კი იქ გასეირნებას არაფერი არ ჯობია, მისი შეფასებით დაბა ჩაქვში განხორციელდა ცენტრის რებილიტაცია, და კეთილმოწყობილ იქნა ტერიტორია. მისი თქმით დაბა ჩაქვში განხორციელებული პროექტები არის მნიშვნელოვანი მან მადლობა გადაუხადა აღმასრულებელ ორგანოს, რომ 2020 წელი რთული წელი იყო პანდემიის მხრივ თუმცა მუნიციპალიტეტის მერიამ იმუშავა სტრესულ და არასტანდარტულ გარემოში. ბიუჯეტის გასულ წელს შესრულდა მაღალი პროცენტით, ამიტომ იმსახურებს მაღალ შეფასებას აღნიშნა მ.შამილიშვილმა.

სიტყვით გამოსვლა ითხოვა სოლომონ ბაჯელიძემ, მისი თქმით მომხსენებლის გამოსვლით იმ სურათის დახატვა, რომ ყველაფერი კარგად არის აბსურდია. როგორც აღნიშნა პროექტების მიღმა ის ხედავდა კორუფციულ გარიგებებს, რომ ხალხის ინტერესების გათვალისწინება ნაკლებია. სამომავლოდ აპირებს პრობლემებთან დაკავშირებით შესაბამის პირებთან საუბარს, მიუხედავად კორუფციისა და უწყესრიგობისა მისი სურვილია ითანამშრომლოს თითოეულ წევრთან ხალხის სამსახურში, რომ შეცდომების გამოსწორება შესაძლებელია და იმედს იტოვებს, რომ მიეცემა თანამშრომლობის შესაძლებლობა და დაანახებს, თუ რა პრობლემების წინაშე დგას მუნიციპალიტეტი. ასევე გამოეხმაურა ბონდო თედორაძის და მამული სურმანიძის ვადამდე ადრე უფლებამოსილების შეწყვეტის ფაქტს, რომ მიღებული გადაწყვეტილება პიროვნული იყო და ეს რამოდენიმე ადამიანის სურვილების დაკმაყოფილებას უფრო გავდა, რომ თორნიკე რიჟვაძის დავალებით მოხდა გადაწყვეტილების მიღება საკრებულოზე, სამწუხაროა, რომ დავალებები სრულდება და არა პიროვნული გადაწყვეტილებები. მისი სურვილია ქობულეთის საკრებულომ დაიბრუნოს რეალური სახე. ვიწრო პარტიულ დავალებებს დაანებოს თავი და ჩვენი ინტერესებიდან გამომდინარე მიხედოს პრობლემებს. იმედს იტოვებს, რომ თანამშრომლობა შედეგს გამოიღებს.

დავით მჭედლიშვილმა გააკეთა საპასუხო განცხადება, ყველა დეპუტატის სახელით, მან სოლომონ ბაჯელიძის ბრალდებას უსაფუძვლო უწოდა, - არანაირი დავალება არ ყოფილა, როცა ნებისმიერი საკრებულოს წევრი არ გამოცხადდება 6 თვის განმავლობაში და საკრებულოს მუშაობაში არ მიიღებს მონაწილეობას, კანონის შესაბამისად უწყდება უფლებამოსილება, მიიღოს გადაწყვეტილება. მისი თქმით თუკი მსგავსი პროცესი კიდევ განმეორდება ნებისმიერი ჩვეთაგანის შემთხვევაში ვიქნებით კანონმორჩილი.

სოლომონ ბაჯელიძის განცხადებაზე ნათია თხილაიშვილმა გააკეთა კომენტარი და მას კორექტულობისკენ მოუწოდა, - ბატონო სოლომონ პირველსავე დღეს დასაწყისშივე ნუ დაიწყებთ დაუსაბუთებელ შეურაცყოფებს, ხოლო იმ ბრალდებას, რომ საკრებულომ დაიბრუნოს კონკრეტული სახე, რეალური სახე არასდროს არც დაუკარგავს მისი ყოფნის განმავლობაში.

მირიან ქათამაძე - საპასუხო განცხადებით მიმართა, რომ გირჩევთ მეტი პასუხისმგებლობით დაიწყეთ თქვენი პოლიტიკური საქმიანობა. მის განცხადებებს კი უპასუხისმგებლო უწოდა. ხოლო რაც შეეხება კორუფციას, ის მის წინააღმდეგ ყოველთვის იბრძოდა და აწევ აქტიურად იბრძოლებს. რაც შეეხება მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიღებულ გადაწყვეტილებას ორი დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის თაობაზე, აქ საუბარია სამართლებრივ მიზანშეწონილობაზე და სამართლებრივი შემადგენელია ამის, საკრებულოს დეპუტატები, რომლებიც 6 თვის განმავლობაში არ მიუღიათ მონაწილეობა არცერთი კომისიის და საკრებულოს სხდომაში როდესაც განიხილებოდა მნიშვნელოვანი საკითხები ჩვენი მოსახლეობისათვის. მიუხედავად ბევრი

უსამართლო და უსაფუძვლო კრიტიკისა უსმენდი. და სასტიკად არ მსიამოვნებდა ცარიელი სკამები საკრებულოს სხდომაზე. ამ საკითხს აქვს თავისი სამართლებრივი შემადგენლობა და პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხიც. როცა ადამიანი არ კითხულობს ვალდებულებას საკუთარი მოსახლეობის წინაშე მაშინ რა თქმა უნდა ეს გადაწყვეტილება სწორი იყო. რაც შეეხება მეორე საკითხს მართლა არა ვარ განწყობილი ანტაგონისტურად, თუმცა ასე დაიწყეთ, რაც შეეხება ბონდო თედორაძის პოლიტიკურ განცხადებებს უმრავლესობისთვის მოსაწონი არ არის, რაც შეეხება მთავრობის თავმჯდომარის დამოკიდებულებას ღირსების საკითხზე მსგავსი ბრალდებები უსაფუძვლოა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა- „ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ საკითხი;

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 24

წინააღმდეგი - 3 (ს.ბაჯელიძე; მ.ცინცაბაძე; ლ.ვერულიძე)

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 27 წევრი.

მიღებულია განკარგულება N21

(განკარგულება თან ერთვის)

7. ა(ა)იპ „ქობულეთის მუზეუმი“-ს 2021 წლის 8 თებერვლის N01-18/7 მომართვა -2020 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ - მოხსენება გააკეთა ა(ა)იპ „ქობულეთის მუზეუმი“-ს დირექტორმა რეზო ტაკიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ 2020 წელი მნიშვნელოვანი სიახლეებით დავიწყეთ, დაგეგმილი გვქონდა მრავალი მიმართულებით არა მხოლოდ არსებული პროგრამების დახვეწა და ახალ სიმაღლეზე აყვანა, არამედ სიახლეთა დანერგვა, მათ შორის შემდეგი მიმართულებებით: მუდმივმოქმედი ექსპოზიციების განახლება, პერიოდული გამოფენების გამართვა, საგანმანათლებლო პროგრამები, კოლექციების კლასიფიცირება, მემორიალური/სახელობითი ფონდების კლასიფიცირება, საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა, ერთობლივ სამეცნიერო ექსპედიციებისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო ექსპედიციების გამართვა, ახალი ძეგლების გამოვლენა, სამეცნიერო ბიბლიოთეკის ახალი ლიტერატურით შევსება, ზურაბ გორგილაძის სახლ-მუზეუმის საზეიმოდ გახსნა და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების ორგანიზება, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მასმედიასთან ურთიერთობა და სხვ. თუმცა მსოფლიოში გავრცელებული ახალი კორონავირუსის COVID 19-ის გამო მოგვიწია კარდინალურად ახალ რეალობაში ჩვენი მუშაობის გადატანა.

ცვლილებები შეეხო ყველა მიმართულებას, უარი ვთქვით საჯარო და ხალხმრავალი ღონისძიებების, საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროგრამების, კულტურულ-შემეცნიერო გამოფენებისა და ექსპოზიციების მოწყობაზე.

მუზეუმში დასაქმებული თანამშრომლები გადავიყვანეთ საგანგებო რეჟიმზე, შევადგინეთ შესაბამისი განაწესი, რომლითაც უზრუნველყოფდით მუზეუმის დაცვას, ფონდების მდგრადობას და დისტანციურ რეჟიმში გარკვეული სერვისების მიწოდებას მომხმარებელზე.

საბედნიეროდ ჩვენმა სიფრთხილემ შედეგი გამოიღო, მუზეუმში დასაქმებული უმრავლესობა გადაურჩა ვირუსისგან დაავადებას (19 მუშაკიდან დაავადდა მხოლოდ ორი თანამშრომელი).

2020 წელს, ქობულეთის მუზეუმმა დაგეგმილი ღონისძიებების კუთხით განავითარა და სრულყო სამუზეუმო საქმიანობისათვის არსებითად სასიცოცხლოდ აუცილებელი მიმართულებები.

მუზეუმის ბიუჯეტი - მუზეუმის 2020 წლის საბოლოო ბიუჯეტი შედგებოდა: 106 910 (ას ექვსი ათას ცხრაას ათი) ლარის ოდენობით (იხ. დანართი N1); ხოლო საკუთარი შემოსავლები (ბილეთების

და აბონემენტების რეალიზაცია) დაგეგმილი 5000 (ხუთი ათასი) ლარის ნაცვლად შემოვიდა მხოლოდ 200 ლარის ოდენობით; აღნიშნულმა გარემოებამ შეცვალა ჩვენს მიერ დაგეგმილი ღირს ღონისძიებები.

მუზეუმში დასაქმებულთა რაოდენობა 2020 წლისათვის ქობულეთის მუზეუმში დასაქმებულთა რაოდენობა განისაზღვრებოდა 19 ერთეულით, მათ შორის შტატით 10 და ხელშეკრულების წესით 3 მუშაკი, ჯამში 13 ერთეული ქობულეთის მუზეუმში, ხოლო შტატით 3 და ხელშეკრულების წესით 3 მუშაკი, ჯამში 6 ერთეული ზურაბ გორგილაძის სახლ-მუზეუმში (იხ. დანართი N2).

ახალი სამუზეუმო მნიშვნელობის მქონე ნივთები – ექსპონატები - 2020 წელს შემთხვევითი აღმოჩენების შედეგად მიღებული/მოპოვებული არქეოლოგიური არტეფაქტების პარალელურად, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით შევიძინეთ მეტად საინტერესო და უიშვიათესი ეთნოგრაფიული მასალები/ნივთები (იხ. დანართი N3); მათ შორის სპილენძის, როგორც სამზარეულო ჭურჭელი, ასევე სავარაუდოდ საკულტო დანიშნულებისათვის გამოყენებული მასიური სპილენძის ნაკეთობები /ჭურჭელი; მნიშვნელოვანი შენამენია მოვერცხილი ქამარი, რომელიც გაამდიდრებს გვიანი შუასაუკუნეების ექსპოზიციას, რომლის მოდერნიზება/განახლებაც დაგეგმილი გვაქვს 2021 წლის საზაფხულო ტურისტული სეზონისათვის.

მუზეუმის საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროგრამები - 2012–2019 წლების სამუზეუმო ცხოვრებამ ცხადყო, რომ ქობულეთის მუზეუმი მნიშვნელოვან როლს ასრულებს მუნიციპალიტეტის კულტურულ-შემეცნებითი და საგანმანათლებლო-სამეცნიერო სეგმენტის განვითარების საქმეში.

ამ მიმართულებით განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო 2020 წელს დაგეგმილი საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროგრამები, რომელთა უმრავლესობა ახალი კორონა ვირუსის გამო გარკვეული შეფერხებებით განხორციელდა. უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო სკოლების დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის პერიოდში შეიზღუდა ჩვენი პროგრამებით მოსარგებლეთა რაოდენობა; მუზეუმმა მაქსიმალურად მოკლე დროში მოახერხა გარდაქმნილიყო ჩვენი საგანმანათლებლო პროგრამები დისტანციური სწავლების ფორმატში (იხ. დანართი N4); სამწუხაროდ ამ ცვლილებებმა მუზეუმს დააკარგვინა გარკვეული ფინანსური შემოსავლები, რომელიც რიგი ღონისძიებების გასატარებლად იყო გათვლილი (აღარ გაყიდულა აბონემენტები, რომელსაც საჯარო სკოლის ადმინისტრაცია ხელშეკრულების საფუძველზე იძენდა მუზეუმიდან მოსწავლეებისათვის).

ვიზიტორები და სტატისტიკა - ქობულეთის მუზეუმის დამთვალიერებელთა სტატისტიკური მონაცემების ათვლა მუზეუმის იურიდიულ პირად ჩამოყალიბებამდე დაიწყო.

2012 – 2019 წლების სტატისტიკა ცხადყოფდა რომ მუზეუმით დაინტერესებულთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდებოდა, მუნიციპალიტეტში საზაფხულო-ტურისტული სეზონის დასრულებისა და კულტურულ – შემეცნებითი აქტივობების შემცირების მიუხედავად.

2020 წელი ფაქტობრივად, მარტის თვიდან იყო შეზღუდულ ფორმატში მიმდინარე მუშაობის პერიოდი, რომელიც გამორიცხავდა, როგორც უცხოელ, ასევე ადგილობრივი ვიზიტორების ნაკადების მიღებას (აქ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი მუზეუმის დამთვალიერებლები საზაფხულო ტურისტულ სეზონზე ძირითადად (85–90%) იყო უცხოელი ვიზიტორები; უცხოელი ვიზიტორების სიმრავლეს ხელს უწყობდა ჩვენი მუნიციპალიტეტის დამეგობრებული ქალაქებიდან ჩამოსული ტურისტული ნაკადები, სადაც ცნობადობა ჩვენი ქალაქის შესახებ მაღალია.

განვითარების გეგმა და სტრატეგიული ხედვა - ახალი კორონა ვირუსის მიუხედავად, შეფერხებებით, თუმცა გარკვეული შედეგები გვაქვს ამ მიმართულებით, 2020 წელს მოხერხდა ჩვენს მუნიციპალიტეტში დაცული მნიშვნელოვანი სამუზეუმო ექსპონატის შესახებ ინფორმაციის მოპოვება, რომელთა გამოსყიდვას ვარაუდობთ 2021 წელს, რაც ვფიქრობთ და მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვნად გაამდიდრებს მუზეუმის მუდმივმოქმედ ექსპოზიციებს, ხოლო ფონდებს შეემატება საგულისხმო სამეცნიერო მასალა.

2020 წელს ახალი კორონა ვირუსის გამო შეჩერებული პროგრამები, ვფიქრობთ აუცილებლად უნდა განხორციელდეს ნაწილობრივ 2021 და შემდგომ წლებში, რაც ხელს შეუწყობს მეტი ვიზიტორის მოზიდვას, ახალი პარტნიორების მოძიებას; ასევე უნდა გაგრძელდეს გასვლითი კულტურულ-შემეცნებითი და საგანმანათლებლო-სამეცნიერო ღონისძიებების დაორგანიზება.

მიგვაჩნია, რომ მუზეუმის საქმიანობის პოპულარიზაცია ემსახურება, როგორც მუნიციპალიტეტის მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, ასევე მისი სიკეთეებისა და შესაძლებლობების ერთიან ტურისტულ პოლიტიკაში ჩართვას, რომელიც ვფიქრობთ დიდ სარგებელს მოუტანს ჩვენს მოსახლეობას.

მუზეუმის შენობის სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო წინადადებები - დღის წესრიგში რჩება ჩვენი ადმინისტრაციის მიერ დამუშავებული პროექტის განხორციელების საკითხი, რომელიც მოიცავს მუზეუმის შენობის სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო წინადადებებს.

დარწმუნებული ვართ, მუზეუმის ახალ სიმაღლეზე აყვანა ერთმნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მდგრად სოციალურ და კულტურულ განვითარებას. წარმოდგენილი პროექტის რეალიზება და მუზეუმის მიერ დაგეგმილი პროგრამების ინტერპრეტაციო-პოპულარიზაციისათვის აუცილებელია. რასაც ამყარებს ჩვენი ქალაქის განვითარების ახალი პერსპექტივები; შენდება მრავალფუნქციური სასტუმრო და დასასვენებელი ობიექტები, უკვე განხორციელებული და უახლოეს მომავალში დაგეგმილი კაპიტალდაბანდება აჭარბებს მილიარდ ლარზე მეტ ინვესტიციას, რაც ერთმნიშვნელოვნად გაზრდის ჩვენს ქალაქში კულტურული, სპორტული, სამეცნიერო და გამაჯანსაღებელი პროგრამებით მოწვეული ტურისტების რიცხვს, ერთ-ერთი პირველი რიგის განსახორციელებელ პროექტად მიგვაჩნია ქობულეთის მუზეუმის ნაგებობის, როგორც შიდა ნაწილის, ასევე ფასადის სრული სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოება.

ახალი, სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო პროექტი თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად მოგვცემს დამატებით მუდმივმოქმედ საექსპოზიციო, პერიოდულ საგამოფენო, სამეცნიერო-საგანმანათლებლო სივრცისა და სარესტავრაციო-სახელოსნო მიმართულებებისათვის აუცილებელ სივრცეებს. გაზრდილი ნაკადების მისაღებად მუზეუმი ერთდროულად უმასპინძლებს რამდენიმე დროებით გამოფენას, პარალელურად მიიღებს ტურისტები მუდმივმოქმედ საექსპოზიციო სივრცეებში, მოაწყობს უძველესი ტოქნოლოგიების გამოყენებით ვორქ-შოპებს, უმასპინძლებს ეთნო-კაფეში და დააგეგმონენებს უიშვიათეს ქობულეთურ დესერტებს, გაყიდის უძველესი კოლხური ცივილიზაციის არტეფაქტების მინაბად სუვენირებს, კინო-დოკუმენტალისტიკის დარბაზში აჩვენებს ქობულეთზე და ჩვენი ქვეყნის ისტორიაზე გადაღებულ ფილმებსა და ვიდეო-რგოლებს, სამეცნიერო ტექნო-პარკი თანამედროვე ინსტალაციების დახმარებით მიაწვდის მეტყველ ინფორმაციას ქობულეთის არქეოლოგიური, არქიტექტურული და ბუნების ძეგლების შესახებ.

თანამედროვე რკინის კონსტრუქციების გამოყენებით უნდა განხორციელდეს ნაგებობის შიდა ნაწილში ანტრესოლების აგება მუდმივმოქმედი ექსპოზიციების გასაშლელად; სახურავის რეკონსტრუქციითა და რკინის ფერმების მოწყობით მივიღებთ დამატებით სივრცეებს სამეცნიერო-საგანმანათლებლო, სამკითხველო და ფონდსაცავი განყოფილებებისათვის. ნაგებობაზე აღმოსავლეთი ნაწილიდან ასევე რკინის კონსტრუქციის ოთხსართულიანი ახალი ფლიგელის მიშენებით მივიღებთ ორი სხვადასხვა თემატიკის პერიოდულ საგამოფენო, სამეცნიერო ტექნო-პარკისა და ეთნო-კაფეს მოსაწყობად აუცილებელ სივრცეებს.

მუზეუმის შენობა, როგორც ქალაქის ერთ-ერთი უძველესი, მონუმენტური არქიტექტურით გამორჩეული ნაგებობა აგებულია გასული საუკუნის 50-იან წ.წ. და თავისი ფუნქციით, როგორც

კინოთეატრი არსებობდა გასული საუკუნის 90-იან წლებამდე; 2011 წელს მცირე რეკონსტრუქციით უზრუნველყოფილ იქნა მოცემულ დროს ახალი მუზეუმის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება.

ამრიგად, წარმოდგენილი მასალების მიხედვით, ვფიქრობთ, რომ 2020 წელი ახალი კორონა ვირუსის მიუხედავად, რამაც შეაფერხა გარკვეული მიმართულებები, მიგვაჩნია, რომ იმედის მომცემი წელი აღმოჩნდა ჩვენი მუზეუმისათვის.

სამუზეუმო საქმე, რომელიც ერთ ათეულ წელს არ აღემატება, დარწმუნებით შეიძლება განვაცხადოთ, რომ მტკიცედ იკიდებს ფეხს ჩვენს მუნიციპალიტეტში.

მუზეუმის 2020 წლის თითოეული სამუშაო დღე ერთმნიშვნელოვნად ემსახურებოდა ჩვენი მუნიციპალიტეტის მდგრად სოციალურ და კულტურულ განვითარებას.

ასევე ისაუბრა საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროგრამა „ადამიანის საქმიანობა“-ზე - ქობულეთის მუზეუმის ეთნოგრაფიულ (მუდმივმოქმედ) საგამოფენო სივრცეში ექსპონირებულ მასალებზე დაყრდნობით მოსწავლეებს მიეცემათ საშუალება იმსჯელონ ადამიანის საქმიანობის შესახებ უძველესი დროიდან დღემდე. პროგრამის მიზანია მოსწავლეებმა შეისწავლონ და გაანალიზონ ადამიანის სამუშაო იარაღების განვითარებისა და გამოყენების ისტორიული პროცესი და ტექნოლოგია.

მოსწავლეებს შეუძლიათ ოჯახში დაცულ ეთნოგრაფიულ ნივთზე (XIX-XX სს.) წარმოადგინონ კონკრეტული ნივთის მოკლე აღწერა, დანიშნულება და ჩანახატი. ასევე შეუძლიათ საკუთარ ოჯახებში დაცული წესების და ტრადიციების შესახებ გადაიღონ ვიდეო რგოლები.

ღონისძიება ძირითადად წარიმართება დისტანციურ რეჟიმში, კონკურსის პირობებს მონაწილეები გაეცნობიან დისტანციურად; კონკურსში მონაწილეები ნამუშევრებს მიაწვდიან სკოლებს, საიდანაც მუზეუმის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ნამუშევრების ჟიურისთვის მიწოდებას; გამარჯვებულები დასაჩუქრდებიან სხვადასხვა ფასიანი საჩუქრებით. დიპლომები და საჩუქრები მონაწილეებს მიეწოდებათ უშუალოდ სკოლაში; შედეგების გაცნობა მოხდება ელექტრონული ფორმით მუზეუმის ვებ-გვერდზე და შესაბამის სოციალურ ქსელში.

პროგრამა გათვალისწინებულია : VI-X კლასის მოსწავლეთათვის

ღონისძიების ტიპი: დახურული (ღონისძიება ძირითადად მიმდინარეობს დისტანციურად, საკონკურსო ნამუშევარს მოსწავლეები ძირითადად ქმნიან ინდივიდუალურად ოჯახში, რომელსაც აწვდიან საჯარო სკოლას, ხოლო სკოლის ადმინისტრაცია მუზეუმის ადმინისტრაციას).

ჩატარების ადგილი: ქობულეთის მუზეუმი.

„ნარინჯისფერი დღეები“ - საგანმანათლებლო – შემეცნებითი პროგრამა

ქობულეთის მუნიციპალიტეტში მიმდინარე საშემოდგომო სამუშაოების პოპულარიზაციის მიზნით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეების ჩართულობით განხორციელდება საშემოდგომო გამოფენები, რომელზეც წარმოდგენილ იქნება სოფლის საშემოდგომო ნობათი.

მოსწავლეებს შეუძლიათ წარმოადგინონ საშემოდგომო საქმიანობის სცენები (ფელამუშის დამზადება და ჩურჩხელის ამოვლება, ჩირის დამზადება, პილპილისა და ზაფრანის ასხმების გაკეთება). ამასთან ერთად შესაძლებელია წარმოადგინონ ადგილობრივ სამუშაოებთან დაკავშირებული ფოლკლორი. მოსწავლეებს ასევე შეუძლიათ წარმოადგინონ საშემოდგომო თემაზე შესრულებული ნამუშევრები. (მოსწავლეებს შეუძლიათ ზემოთ აღნიშნულ პროცესებთან დაკავშირებით გადაიღონ ვიდეო რგოლები და ატვირთონ მუზეუმის ვებ-გვერდზე და შესაბამის სოციალურ ქსელში).

ღონისძიება ძირითადად წარიმართება დისტანციურ რეჟიმში, კონკურსის პირობებს მონაწილეები გაეცნობიან დისტანციურად; კონკურსში მონაწილეები ნამუშევრებს მიაწვდიან სკოლებს, საიდანაც

მუზეუმის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ნამუშევრების ჟიურისთვის მიწოდებას; გამარჯვებულები დასაჩუქრდებიან სხვადასხვა ფასიანი საჩუქრებით. დიპლომები და საჩუქრები მონაწილეებს მიეწოდებათ უშუალოდ სკოლაში; შედეგების გაცნობა მოხდება ელექტრონული ფორმით მუზეუმის ვებ-გვერდზე და შესაბამის სოციალურ ქსელში.

პროგრამა გათვალისწინებულია : V-X კლასის მოსწავლეთათვის.

ღონისძიების ტიპი: დახურული (ღონისძიება ძირითადად მიმდინარეობს დისტანციურად, საკონკურსო ნამუშევარს მოსწავლეები ძირითადად ქმნიან ინდივიდუალურად ოჯახში, რომელსაც აწვდიან საჯარო სკოლას, ხოლო სკოლის ადმინისტრაცია მუზეუმის ადმინისტრაციას).

ჩატარების დრო: 25 ოქტომბერი – 25 ნოემბერი .

„ორიგინალური ნაძვის ხე“ - საგანმანათლებლო – შემეცნებითი პროგრამა

ბუნების დაცვისა და ეკოლოგიური საკითხების პროპაგანდის მიზნით ქობულეთის მუზეუმში ცხადდება საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროგრამა-კონკურსი „ორიგინალური ნაძვის ხე“, რომელიც ემსახურება მწვანე ნარგავების დაცვისა და შემოქმედებითი უნარების ამაღლებას მოსწავლე-ახალგაზდრობაში.

პროგრამაში ჩართულია ქობულეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეები. პროგრამა ითვალისწინებს მეორადი გამოყენების ნივთებისაგან ნაძვის ხისა და სათამაშოების დამზადებას.

ღონისძიება ძირითადად წარიმართება დისტანციურ რეჟიმში, კონკურსის პირობებს მონაწილეები გაეცნობიან დისტანციურად; კონკურსში მონაწილეები ნამუშევრებს მიაწვდიან სკოლებს, საიდანაც მუზეუმის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ნამუშევრების ჟიურისთვის მიწოდებას; გამარჯვებულები დასაჩუქრდებიან სხვადასხვა ფასიანი საჩუქრებით. დიპლომები და საჩუქრები მონაწილეებს მიეწოდებათ უშუალოდ სკოლაში; შედეგების გაცნობა მოხდება ელექტრონული ფორმით მუზეუმის ვებ-გვერდზე და შესაბამის სოციალურ ქსელში.

პროგრამა მოიცავს სამ ეტაპს:

1. საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის გაცნობა.
2. ეკოლოგიისა და ბუნების დაცვის თემაზე დისტანციურ რეჟიმში ლექციის წაკითხვა.
3. ორიგინალური ნაძვის ხის დამზადებასა და წარმოდგენას.

პროგრამა გათვალისწინებულია: V-X კლასის მოსწავლეთათვის.

ღონისძიების ტიპი: დახურული (ღონისძიება ძირითადად მიმდინარეობს დისტანციურად, საკონკურსო ნამუშევარს მოსწავლეები ძირითადად ქმნიან ინდივიდუალურად ოჯახში, რომელსაც აწვდიან საჯარო სკოლას, ხოლო სკოლის ადმინისტრაცია მუზეუმის ადმინისტრაციას).

ჩატარების დრო: ნოემბერი – დეკემბერი.

„სამშობლო“ - საგანმანათლებლო – შემეცნებითი პროგრამა

ქობულეთის მუზეუმი ყოველწლიურად, თებერვალ-მარტის თვეებში მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებთან ერთად ატარებს წინასწარ გამოცხადებული პროგრამის მიხედვით საგანმანათლებლო-შემეცნებით კონკურსს „სამშობლო“, რომელიც აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების ისტორიულ მოვლენას უკავშირდება.

საგანმანათლებლო პროგრამა ემსახურება აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების ისტორიულ ფაქტის შესახებ მოსწავლეებში ცოდნის ამაღლებასა და პოპულარიზაციას.

საგანმანათლებლო პროგრამა „სამშობლო“ მუშაობს შემდეგი პრინციპით და თანმიმდევრობით:

1. თავდაპირველად საჯარო სკოლებში ცხადდება კონკურსი.
2. საკონკურსოდ წარედგინებათ თემები, რომლებიც დაკავშირებული უნდა იყოს აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების ისტორიულ ფაქტებთან.
3. ასევე მოსწავლეებმა უნდა წარმოადგინონ თემასთან დაკავშირებული ჩანახატები.
4. თემებს მოსწავლეები მიაწვდიან სკოლის ადმინისტრაციას და შეაფასებს კონკურსის ჟიური.
5. შერჩეული სამი საუკეთესო თემა წარმოდგენილ იქნება დასკვნით კონფერენციაზე განსახილველად.

ღონისძიება ძირითადად წარიმართება დისტანციურ რეჟიმში, კონკურსის პირობებს მონაწილეები გაეცნობიან დისტანციურად; კონკურსში მონაწილეები ნამუშევრებს მიაწვდიან სკოლებს, საიდანაც მუზეუმის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ნამუშევრების ჟიურისთვის მიწოდებას; გამარჯვებულები დასაჩუქრდებიან სხვადასხვა ფასიანი საჩუქრებით. დიპლომები და საჩუქრები მონაწილეებს მიეწოდებათ უშუალოდ სკოლაში; შედეგების გაცნობა მოხდება ელექტრონული ფორმით მუზეუმის ვებ-გვერდზე და შესაბამის სოციალურ ქსელში.

პროგრამა განკუთვნილია: X-XII კლასის მოსწავლეთათვის.

ღონისძიების ტიპი: დახურული (ღონისძიება ძირითადად მიმდინარეობს დისტანციურად, საკონკურსო ნამუშევარს მოსწავლეები ძირითადად ქმნიან ინდივიდუალურად ოჯახში, რომელსაც აწვდიან საჯარო სკოლას, ხოლო სკოლის ადმინისტრაცია მუზეუმის ადმინისტრაციას).

ჩატარების დრო: თებერვალი – მარტი.

ჩატარების ადგილი: ქობულეთის მუზეუმი.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილი დაინტერესდა პანდემიიდან გამომდინარე რაიმე ღონისძიებები, თუ ისახება და გამოსავალი, თუ არის რეგულაციების არ დარღვევით, რომ მუზაუმმა შეძლოს ეტაპობრივად სეზონისთვის მუშაობა?

რეზო ტაკიძე - 2021 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია და ის საგანმანათლებლო ღონისძიებები, ძირითადად ხდებოდა ონლაინ რეჟიმში გამოფენების მოწყობა, აპრილის თვიდან გვაქვს დაგეგმილია ღია სივრცეში ისტორიული ადგილებისა მემდკვიდრეობის დაცვის საერთაშორისო დღე, ასევე დაგეგმილის საჯარო სკოლის მოსწავლეებს სოფლის ცენტრებში მათ მიმდებარედ დასუფთავების აქცია მოეწყოს და საინტერესო აქტივობაშიც ჩაერთონ.

დ.მჭედლიშვილმა წარმატებები უსურვა ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელს მომავალში, მუზაუმის გადადგმული თითოეული ნაბიჯი სამაყოა ქობულეთის მუნიციპალიტეტისათვის.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ „ქობულეთის მუზეუმი“-ს 2020 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის ცნობად მიღების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 27

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 27 წევრი.

8. გურამ თამაზაშვილის სახელობის ა(ა)იპ „ქობულეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „მხედრული“-ს 2021 წლის 2 მარტის N01-06/11 მომართვა -2020 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ - რადგან დღევანდელ სხდომას ვერ ესწრებოდა ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელი ბადრი ცეცხლაძე

ავადმყოფობის გამო მოხსენება გააკეთა საკრებულოს განათლების, მეცნიერების, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის საკითხთა კომისიის კომისიის თავმჯდომარემ ლია შაქარიშვილმა, რომელმაც განმარტა, რომ აღნიშნული მომართვა დეტალურად განხილულ იქნა ქობულეთის მუნიციპალიტეტის განათლების, მეცნიერების, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის საკითხთა კომისიის მიერ.

2020 წლის დეკემბერში ანსამბლ „მხედრული“-ს დაფუძნებიდან ცხრა წელი გავიდა, რომელიც აქტიური სამუშაო პროგრამით გამოირჩეოდა. ანსამბლი „მხედრული“ აქტიურად იყო ჩართული, როგორც ადგილობრივი მნიშვნელობის, ისე საზღვარგარეთ ღონისძიებებსა და პროექტებში. ანსამბლ „მხედრული“-ს ბიუჯეტი - გურამ თამაზაშვილის სახელობის ა(ა)იპ ქობულეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „მხედრული“-ს 2020 წლის ბიუჯეტი შედგება ქობულეთის მუნიციპალიტეტის სუფსიდიისაგან, რომელიც შეადგენს 205 025 ლარს.

2020 წლის ბიუჯეტში:

- ხელფასის ფონდი შეადგენდა - 200 470 ლარი;
- საქონელი და მომსახურების ხარჯი - 4 498 ლარი ,
მათ შორის:
- ოფისის ხარჯი - 4 498 ლარი;

გურამ თამაზაშვილის სახელობის ა(ა)იპ ქობულეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „მხედრული“-ს წესდებისა და შინაგანაწესის თანახმად ანსამბლის გამართულად მუშაობის საჭიროებებიდან გამომდინარე, შტატების არ არსებობის გამო სიტყვიერი დავალებითა და დირექტორის ბრძანებებით დაკისრებული აქვთ: მთავარ სპეციალისტს იურიდიულ საკითხებში – საქმის მწარმოებლისა და შესყიდვების სპეციალისტის მოვალეობის შესრულება; ბუღალტერს – შესყიდვების სპეციალისტის მოვალეობის შესრულება.

2019 წელი გურამ თამაზაშვილის სახელობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლისათვის მეტად ნაყოფიერი იყო, ანსამბლის თითოეული წევრი დიდი გულმოდგინებითა და ენთუზიაზმით მუშაობდა. ვიმედოვნებთ, რომ 2021 წელი უფრო ნაყოფიერი და უკეთესი ადამიანური რესურსების მომტანი იქნება ანსამბლი „მხედრული“-სათვის, რომელიც კიდევ ერთხელ იტყვის ღირსეულ სიტყვას დიდ ვოკალურ-ქორეოგრაფიულ ტრადიციების მქონე საქართველოს ისტორიაში.

ასევე აღნიშნა, რომ ა(ა)იპ-ის არსებობის ისტორიაში მუნიციპალიტეტმა პირველად დააფინანსა საგასტროლო თანხა 2020 წლისთვის, მაგრამ არსებული პანდემიის გამო გასტროლი ვერ შედგა და გამოყოფილი თანხა უკან დაუბრუნდა ბიუჯეტს. ერთი წლის განმავლობაში თითქმის არ უმუშავია ანსამბლს და დღეიდან აღდგება მუშაობა, ვიმოდოვნებთ, რომ მალე დაუბრუნდება ძველ რიტმს.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ ანსამბლი ყოველთვის არის წარმატებული, თუმცა პანდემიამ მნიშვნელოვნად დააზარალა კულტურული სფერო.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ „ქობულეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „მხედრული“-ს -2020 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის ცნობად მიღების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 27

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 27 წევრი.

9. ა(ა)იპ „ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლი“-ს 2021 წლის 5 მარტის N01-21/9 მომართვა -2020 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ - მოხსენება გააკეთა კომპლექსური

სასპორტო სკოლის დირექტორმა კობა კაკალაძემ - რომელმაც აღნიშნა, რომ 2020 წელს, ა(ა)იპ ქობულეთის კომპლექსურ სასპორტო სკოლაში, 43 საშტატო ერთეული და 2 შტატგარეშე ერთეული იყო, სკოლის ბიუჯეტი შეადგენდა 223 352 ლარს. კერძოდ: შრომის ანაზღაურება -184 920 ლარი; საქონელი და მომსახურება - 14 891 ლარი; სხვა ხარჯი 23541 ლარი;

2020 წლის მანძილზე სკოლის მიერ გაწეული ხარჯები:

1. შრომის ანაზღაურებაში ხელფასის სახით დახარჯულ იქნა - 184920 ლარი, კერძოდ: ადმინისტრაცია, ტექნიკური პერსონალის - 73 080 ლარი და მწვრთნელების - 111840 ლარი.

2. საქონელი და მომსახურებაში დახარჯულ იქნა- 14 572 ლარი, კერძოდ: შტატგარეშე თანამშრომელთა ხელფასის ხარჯი- 6720 ლარი;

მივლინება - 1615 ლარი;

ოფისის ხარჯი - 5872 ლარი, კერძოდ;

- საკანცელარიო საქონელი - 466 ლარი;

-მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენისა და დამონტაჟების ხარჯი-360 ლარი; (კარტრიჯის შეძენა - 360 ლარი.

- საოფისე ინვენტარის შეძენისა და დამონტაჟების ხარჯი - 255 ლარი;

-ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების ხარჯი- 307 ლარი;

- სანიტარულ - ჰიგიენური საგნები -1138 ლარი;

- კავშირგაბმულობის ხარჯი - 1223 ლარი;

- კომუნალური ხარჯი- 2123 კერძოდ:

(წყალის - 126 ლარი, ელექტროენერგიის - 414 ლარი, ბუნებრივი აირის ხარჯი -203, გათბობის ხარჯი (შეძენილ იქნა 15 მ³ ღუმელის ზომაზე დახერხილი შეშა- 1380 ლარი;)

სამედიცინო ხარჯი- 90 ლარი

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - დახარჯულ იქნა - 275 ლარი, კერძოდ:

- 112 მომსახურების ხარჯი - 5 ლარი;

- ჩატარებული იქნა შიდასასკოლო ღია და რესპუბლიკური შეჯიბრებები - 220 ლარი;

- ტენდერის გამოცხადების- 50 ლარი;

მიუხედავად იმისა, რომ კორონავირუსმა, როგორც სხვა სფეროში, ისე სპორტულ საზოგადოებაში ცუდად იმოქმედა, მაინც გარკვეული მედლების მოპოვება მაინც შევძელით. 18 ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 134 სპორტსმენმა, აქედან 7 ოქრო, 10 ვერცხლი და 10 ბრინჯაოს მედალი მოვიპოვეთ.

ასევე აღნიშნა, რომ აქტიურად მიდის მსჯელობა ახალი სპორტსკოლის შესახებ და მალე პროექტის ტენდერის გამოცხადდება, რაც ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია ჩვენი ქალაქისათვის.

ვაჟა შავიშვილი- სოფელ ციხისძირში, თუ არის სპორტული დარბაზი?

კობა კაკალიძის თქმით დარბაზების რაოდენობა მცირეა, თუმცა ჩემი სურვილია ყველა სოფელში იყოს სპორტული დარბაზი. ხალიჩები გვაქვს დამატებით, სპორტის სამინისტროსგან საჩუქრად მიღებული. მწვრთნელის დამატებით შესაძლებელია სპორტული დარბაზის გახსნა.

დავით მჭედლიშვილის თქმით საინტერესო სპორტული მიღწევები გვაქვს, ტრადიციულად ღირსეულად აგრძელებს ხელმძღვანელი წარმატებებს. ქობულეთის ახალგაზრდობა გამორჩეული სპორტსმენები ჰყავს პედაგოგების დახმარებით. მომავალი პროექტი სპორტული სკოლის იქნება წარმატებული და ყველა პირობებით აღჭურვილი. მადლობა გადაუხადა ხელმძღვანელს გაწეული შრომისათვის და მიღწეული წარმატებებისათვის.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ „ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლი“-ს 2020 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის ცნობად მიღების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 27

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 27 წევრი.

10. ა(ა)იპ „ქობულეთის სახელოვნებო სკოლა“-ს 2021 წლის 9 მარტის N5 მომართვა -2020 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ - მოხსენება გააკეთა ა(ა)იპ „ქობულეთის სახელოვნებო სკოლა“-ს დირექტორმა ციალა კაკალაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ქობულეთის სახელოვნებო სკოლა მოიცავს სოფელ ხუცუბნის, ბობოყვათის და ჩაქვის განყოფილებებს. სკოლაში დასაქმებულია 107 თანამშრომელი. აქედან მოსწავლეთა აღზრდას ემსახურება 89 პედაგოგი.

სახელოვნებო სკოლის მოსწავლეთა კონტიგენტი სულ შეადგენს 476 მოსწავლეს. მათ შორის: ქობულეთის სახელოვნებო სკოლაში -241 მოსწავლე, ხუცუბნის განყოფილებაში-101 მოსწავლე, ბობოყვათის განყოფილებაში-57 მოსწავლე, ჩაქვის განყოფილებაში-77 მოსწავლე.

2020წლის სკოლის ბიუჯეტი შეადგენდა 474497 ლარს. აქედან შრომის ანაზღაურება შეადგენდა - 440159ლარს, შტატგარეშე მოსამსახურეთა ხელფასი 2620ლარს, ოფისის ხარჯი- 5724 ლარს,სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება-2111ლარს. არაფინანსური აქტივები23883ლარს, რაც დაიხარჯა ქობულეთის სკოლის ბუნებრივი აირის შეყვანასა და ცენტრალური გათბობის სისტემის მონტაჟში.

სახელოვნებო სკოლაში ფუნქციონირებს საფორტეპიანო, საგუნდო, საორგესტრო და სამხატვრო განყოფილებები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ფოლკლორის განვითარებას. ჩამოყალიბებულია ვაჟთა და გოგონათა ფოლკლორული ანსამბლები. მოსწავლეები ეუფლებიან სხვადასხვა ხალხურ საკრავებზე დაკვრას: ფანდური, ჩონგური, სალამური, გიტარა, ტამტამი. ჩამოყალიბებულია საესტრადო ბენდი. ისწავლება ვიოლინოზე, ელექტრო გიტარაზე, დრამზე, სინთეზატორზე და ჩასაბერ ინსტრუმენტებზე (საყვირი, საქსაფონი, ტრომბონი) დაკვრა.

სკოლაში არჩეულია საგნობრივი მეთოდური კომისიები:საფორტეპიანო,თეორიული და საგუნდო განყოფილებების მეთოდური კომისიები, რომლებიც შედგენილი გეგმით ატარებენ მეთოდურ მეცადინეობებს, ღია გაკვეთილებს, დახურულ და ღია კონცერტებს. ასევე ვატარებთ გასვლით საჩვენებელ გაკვეთილებს და მეთოდურ მეცადინეობებს ხუცუბნის, ბობოყვათის და ჩაქვის განყოფილებებში.

ქვეყანაში ვირუსული ინფექცია COVID-19-ის გავრცელებასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით სკოლებში სწავლება მიმდინარეობდადისტანციურ რეჟიმში.სკოლის

ხელმძღვანელობისა და მეთოდ კომისიის მიერ ხდებოდა გაკვეთილების დისტანციურ რეჟიმში გაკონტროლება. ასევე დისტანციურ რეჟიმში მოხდა ჩათვლებისა და გამოცდების მოსმენა.

რაც შეეხება სკოლის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას:სკოლას გააჩნია კეთილმოწყობილი დარბაზი საკლასო ოთახები, მუსიკალური (საესტრადო და ხალხური) ინსტრუმენტები. მაგრამ სკოლა მოითხოვს კოსმეტიკურ რემონტს: გარე ფასადის შეღებვას და ეზოს კეთილმოწყობას. ასევე რემონტს მოითხოვს ხუცუბნის განყოფილების სკოლის შენობა. ჩაქვისა და ბობოყვანის განყოფილებები არენდით განთავსებულია შესაბამის საჯარო სკოლის შენობებში.

იმედი გვაქვს თქვენი გულისხმიერების და ჩაქვის განყოფილებისთვის მოიძებნება შესაბამისი შენობა.

ციალა კაკალაძემ თხოვნით მიმართა საკრებულოს, სახელოვნებო სკოლის იერსახის მოწესრიგებისთვის და ეზოს კეთილმოწყობისთვის იზრუნონ და მოიძიონ თანხები, რადგან არაესთეტიკური მდგომარეობაა ამ მხრივ.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა მადლობა გადაუხადა აიპის ხელმძღვანელს ჩატარებული გაწეული სამუშაოებისათვის წარმატებები და წინსვლა უსურვა, მხარდაჭერა გამოთქვა ყველა არსებული პრობლემის მოსაგვარებლად.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა - ა(ა)იპ „ქობულეთის სახელოვნებო სკოლა“-ს 2020 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ ცნობად მიღების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 27

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 27 წევრი.

11. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული სასკოლო ასაკის უსინათლო ან/და მხედველობის სხვადასხვა პრობლემის მქონე მოზარდების იდენტიფიცირების, მათი რაოდენობის დადგენისა და საჭიროებების შესწავლისა და საკითხზე პოლიტიკის დოკუმენტის შექმნის მიზნით, დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ - მოხსენება გააკეთა ლია შაქარიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ 2021 წლის თებერვლის დასაწყისში ა(ა)იპ „უსინათლოთა ხმა“-ს დირექტორმა ალექსი წეველიძემ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მომართა დროებითი სამუშაო კომისიის შექმნის თხოვნით. აღნიშნული ორგანიზაცია უსინათლო და მხედველობის სხვადასხვა შეზღუდვის მქონე პირთა უფლებების დაცვასა და მათ საზოგადოებაში სრულფასოვან ინტეგრაციაზე მუშაობს. ამ ამოცანების მისაღწევად კი თანამშრომლობს, როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო სექტორთან, ადგილობრივ და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან, რომლებიც ადამიანის უფლებათა დაცვაზე არიან ორიენტირებული. ამჯერად წინადადების მიზეზი სასკოლო ასაკის უსინათლო ან მხედველობის სხვადასხვა შეზღუდვის მქონე მოზარდები არიან, რომელთა განათლებაზე ხელმისაწვდომობა რისკის ქვეშაა და ამის მიზეზი საცხოვრებელ, თუ სასკოლო სიტუაციაში არადაპტირებული გარემოა. ბატონი ალექსი წერილში გელაურში მცხოვრები ნინიკო ზოიძის კონკრეტულ მაგალითსაც გვიყვება, რომელიც მომავალ წელს სკოლაში უნდა წავიდეს, თუმცა მის საცხოვრებელ სახლთან ახლომდებარე სკოლაში ეს პირობები ვერ დახვდება. დედაქალაქში, სპეციალურ სკოლაში გაგზავნა კი, უსინათლო გოგონასთვის, ერთი მხრივ, დიდი ტრამვაა, რადგან ჩვეულ გარემოს უნდა მომორდეს, ოჯახიც უნდა გაიყოს, რომ მას თანხმდები პირი ყავდეს უცხო ქალაქში და მეორეს მხრივ, კანონიერი უფლებაა ჰქონდეს თანაბარი ხელმისაწვდომობა მისი თანატოლების მსგავსად განათლება მიიღოს იქ, სადაც დაიბადა და ცხოვრობს.

ოფიციალური სტატისტიკით, რომლის მოძიებაც შევძელი 35-40 ათასამდე მხედველობის შეზღუდვის მქონე და 5 -6 ათასი უსინათლოა საქართველოში. რატომ ასე სავარაუდო რიცხვები? იმიტომ რომ ჯერ კიდევ არ არის სრულფასოვანი სურათი თუნდაც სტატისტიკის თვალსაზრისით. და როცა ჩვენ გვსურს კონკრეტულად ამ ჯგუფის წინაშე მდგარი გამოწვევები გადავჭრათ, მინიმუმ, საქმე მათი იდენტიფიცირებითა და საჭიროებების შესწავლით უნდა დავიწყოთ. ეს კი სწორედ მუნიციპალური დონიდანაა ხელშესახები. შშმ პირთა უფლებების დაცვის კუთხით წინგადადგმული ნაბიჯები გვაქვს-2020 წლის 14 ივლისს მიღებულ იქნა კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ , რომელიც ძალაში 2021 წლის 1 იანვარს შევიდა და რომლის 35-ე მუხლი(მუხლი 35, პუნქტი 2, ა ქვეპუნქტი) იმპერატიულად ავალდებულებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შშმ პირთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების საქმიანობის ხელშეწყობას, სპეციალური პროგრამების შემუშავებას და ა.შ.

რა არის კომისიის შექმნის მიზანი? პირველ რიგში, კომისიური წესით, მუნიციპალური რესურსების ორგანიზებული ჩართვით, უსინათლო და მხედველობის შეზღუდვის მქონე მოზარდთა იდენტიფიცირება, მათი საჭიროებების შესწავლა შესაბამის ექსპერტებთან კონსულტაციის გზით. აქტიური კომუნიკაცია ამ პროცესის მონაწილე მხარეებთან: განათლების სამინისტრო, ადგილობრივ დონეზე განათლების რესურსცენტრი, საბავშვო ბაღების გაერთიანება და ა. შ. რა თქმა უნდა, კომისიის მუშაობის ყველა ეტაპზე, ამ საკითხის ინიციატორის უსინათლოთა საზოგადოების ხელმძღვანელ ალექსი წეველიძის ჩართულობით.

შედეგი კომისიის მუშაობისა ქობულეთის მუნიციპალიტეტში უსინათლო და მხედველობის შეზღუდვის მქონე მოზარდების საკითხზე პოლიტიკის დოკუმენტის შექმნა იქნება მათი იდენტიფიცირების, თითოეულის კონკრეტული საჭიროებების შესწავლისა და საჭირო რეკომენდაციების შემუშავების გზით.

ჩვენი ვალდებულებაა ხელი შევუწყოთ მხედველობის შეზღუდვის მქონე ადამიანთა სურვილსა და უფლებას იყვნენ დამოუკიდებელნი, ისარგებლონ ადაპტირებული გარემოთი. ყველაზე მთავარი სრულფასოვანი განათლება, როგორც მომავალში მათი საზოგადოებაში ღირსეულად დამკვიდრების ინსტრუმენტი.

მომხსენებელმა გააცნო კომისიის შემადგენლობა შემდეგი სახით: ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული სასკოლო ასაკის უსინათლო ან/და მხედველობის სხვადასხვა პრობლემის მქონე მოზარდების იდენტიფიცირების, მათი რაოდენობის დადგენისა და საჭიროებების შესწავლისა და საკითხზე პოლიტიკის დოკუმენტის შექმნის მიზნით, სამი თვის ვადით შეიქმნას დროებითი სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ლია შაქარიშვილი -ქობულეთისმუნიციპალიტეტისსაკრებულოსგანათლების, მეცნიერების,

კულტურის, სპორტისადატურიზმისსაკითხთაკომისიის თავმჯდომარე -

დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე;

წევრები:

დავით წულუკიძე -ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და

სოციალურ საკითხთაკომისიისთავმჯდომარე;

მამია ჟორდანია - ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, საპროცედურო და

სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

მამუკა შამილიშვილი- ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

იოსებ ჟღენტი -ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება -

კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე;

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა - სასკოლო ასაკის უსინათლო ან/და მხედველობის სხვადასხვა პრობლემის მქონე მოზარდების იდენტიფიცირების, მათი რაოდენობის დადგენისა და საჭიროებების შესწავლისა და საკითხზე პოლიტიკის დოკუმენტის შექმნის მიზნით, დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 27

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 27 წევრი.

მიღებულია განკარგულება N22

(განკარგულება თან ერთვის)

საკრებულოს თავმჯდომარემ გააკეთა განცხადება რადგან საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ავთანდილ ანანიძე არ ესწრება სხდომას ავადმყოფობის გამო, მომდევნო საკითხების მომხსენებელი იქნება ვაჟა შავიშვილი.

12. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 09 მარტის N01-31/1939 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2(ორი) ერთეული ნაგავმზიდის (1-FORD CARGO 1826, გამოშვების წელი 2012, სარეგისტრაციო ნომერი BBQ983, 2- FORD CARGO 1824, გამოშვების წელი 2008, სარეგისტრაციო ნომერი ALI231) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის შესახებ - მოხსენება გააკეთა საკრებულოს საფინანსო და საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ვაჟა შავიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის სხდომაზე. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია -ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2(ორი) ერთეული ნაგავმზიდის (1-FORD CARGO 1826, გამოშვების წელი 2012, სარეგისტრაციო ნომერი BBQ983, 2-FORD CARGO 1824, გამოშვების წელი 2008, სარეგისტრაციო ნომერი ALI231) გადაეცეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას შემდგომში ბათუმზე გადაცემის მიზნით.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა -ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2(ორი) ერთეული ნაგავმზიდის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 27

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 27 წევრი.

მიღებულია განკარგულება N23

(განკარგულება თან ერთვის)

13. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 18 მარტის N01-18/2441 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით,იჯარისფორმით, სარგებლობის უფლებით 2 (ორი) წლის ვადით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში მდებარე ყოფილი საყოფაცხოვრებო მომსახურების შენობის პირველ სართულზე არსებულ 25,0 კვ.მ არასაცხოვრებელ ფართზე (ს/კ N20.33.01.084) ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ (ფ/პ „ხ.ვერულიძე“) - მოხსენება გააკეთა საკრებულოს საფინანსო და საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ვაჟა შავიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით მიმართა სოფელ მუხაესტატეში მცხოვრებმა მოქალაქე ხათუნა ვერულიძემ, რომლითაც ითხოვს სოფელ მუხაესტატეში მდებარე ყოფილი საყოფაცხოვრებო მომსახურების შენობის მეორე სართულზე 25,0 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაცემას სტომატოლოგიური კაბინეტის ფუნქციონირების მიზნით.

აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის სხდომაზე. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერს პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 2 (ორი) წლის ვადით გადასცეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში მდებარე ყოფილი საყოფაცხოვრებო მომსახურების შენობის მეორე სართულზე არსებულ 25,0 კვ.მ არასაცხოვრებელ ფართი. ხოლო წლიური საიჯარო საფასური განისაზღვროს 600 (ექვსასი) ლარის ოდენობით.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 27

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 27 წევრი.

მიღებულია განკარგულება N24

(განკარგულება თანერთვის)

14. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2021წლის 18მარტის N01-18/2461 მომართვა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარისფორმით, სარგებლობის უფლებით 1(ერთი) წლის ვადით ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ქობულეთში, დ.აღმაშენებლის გამზირი N112-ის მიმდებარედ 5.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ N20.42.06.362) ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ(ფ/პ „დათუნა დედოფალიძე“) - მოხსენება გააკეთა საკრებულოს საფინანსო და საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ვაჟა შავიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით მიმართა სოფელ ქვედა კვირიკეში მცხოვრებმა მოქალაქე დათუნა დედოფალიძემ, რომლითაც ითხოვს საიჯარო ხელშეკრულების ვადის გაგრძელებას აღმაშენებლის N112-ის მიმდებარედ 5,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სუვენიერების სარეალიზაციო ჯიხურის განთავსების მიზნით.

აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის სხდომაზე. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერს პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით გადასცეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ქობულეთში, დ.აღმაშენებლის გამზირი N112-ის მიმდებარედ 5.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გადაცემაზე. ხოლო წლიური საიჯარო საფასური განისაზღვროს 600 (ექვსასი) ლარის ოდენობით.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 27

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 27 წევრი.

მიღებულია განკარგულება N25

(განკარგულება თან ერთვის)

15. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2021წლის 19 მარტის N01-14/2516 მომართვა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობისუფლებით² (ორი) წლისვადით ქ.ქობულეთში, დ.აღმაშენებლის გამზირი N2-ის (ს/კ N20.42.06.405), დ.აღმაშენებლის გამზირი N116-ის (ს/კ N20.42.06.470), რუსთაველის ქუჩა N116-ის (ს/კ N20.42.05.182), რუსთაველის ქუჩა N117-ის (ს/კ N20.42.06.4392), მ.აბაშიძის ქუჩა N4-ის (ს/კ 20.42.08.242) მიმდებარედ არსებულ ტერიტორიებზე თითო კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები (სულ ჯამში 5,0) შპს „დაირექტდებიტჯორჯია“-ზე გადაცემა სწრაფი გადახდის ტერმინალების განთავსების მიზნით ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ - მოხსენება გააკეთა საკრებულოს საფინანსო და საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ვაჟა შავიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის სხდომაზე. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერს პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 2 (ორი) წლის ვადით გადასცეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არსებული ქ.ქობულეთში, დ.აღმაშენებლის გამზირი N2-ის (ს/კ N20.42.06.405), დ.აღმაშენებლის გამზირი N116-ის (ს/კ N20.42.06.470), რუსთაველის ქუჩა N116-ის (ს/კ N20.42.05.182), რუსთაველის ქუჩა N117-ის (ს/კ N20.42.06.4392), მ. აბაშიძის ქუჩა N4-ის (ს/კ 20.42.08.242) მიმდებარედ არსებულ ტერიტორიებზე თითო კვ.მ არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები (სულ ჯამში 5,0) სწრაფი გადახდის ტერმინალების განთავსების მიზნით. ხოლო წლიური საიჯარო საფასური ჯამში განისაზღვროს 900 (ცხრაასი) ლარის ოდენობით.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 27

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 27 წევრი.

მიღებულია განკარგულება N26

(განკარგულება თან ერთვის)

16. ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-ქრისტიან კონსერვატიული“-ს დაშლის თაობაზე ინფორმაციის მოსმენის შესახებ - საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა გააკეთა ინფორმაცია ცნობის სახით - დაიშალა ორი ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-ქრისტიან კონსერვატიული“-ს, მისი თქმით მოხდა კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა გამოაცხადა დამთავრებულად.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე



დ.მჭედლიშვილი